№96 ხუთშაბათი
3 დეკემბერი 2015 წელი
40 თ (გურიის გარეთ 1 ლარი)

გურია
NEWS

გაზეთი "გურია ნიუსი"
გამოდის კვირაში ორჯერ
www.gurianews.com

"მთელ რაიონში თქვენ ამოგარჩიეს წესიერებაზე და პატიოსნებაზე საყაჩაღოდ!"

" ყველანი შეწუხებული ვართ და თქვენ გვერდში ვდგავართ!"

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ზაალ მამალაძის ოჯახი 28 ნოემბერს, დაახლოებით, 21 საათსა და 30 წუთზე დააყაჩაღეს. თავდამსხმელებს სახეზე სამედიცინო ნიღბები ეკეთათ. ზაალ მამალაძის მეუღლე სტომატოლოგია და როგორც გვითხრა, იმ დროს პაციენტებს ელოდებოდა:

_ პაციენტებს ველოდებოდი. დაახლოებით, ათის ნახევარი იქნებოდა, როცა კარზე დააკაკუნეს და დაჟინებით კითხულობდნენ, სად იყო ზაალი... ვთხოვე, რომ ხმამაღლა არ ესაუბრათ, რადგან დედა ინსულტით გვყავს ავად, ჩაწოლილია და იმ დროისთვის იქვე ვაძინებდი. ვუთხარი, რომ ზაალი მეორე სართულზე იყო, ვთხოვე, კაბინეტში შესულიყვნენ და დამლოდებოდნენ. ამ დროს იარაღს მოკკარი თვალი და ვიყვირე. ყვირილზე ზაალს ეგონა, რომ დედა იყო ცუდად, რაც ხშირად ხდება, სართულებს შორის კიბეზე ჩამოირბინა; მე წინააღმდეგობის გაწევა ვცადე და იარაღიანს სათვალე ჩამოვგლიჯე. ზაალმა ერთ-ერთ შემოჭრილს სახეში მუშტი დაარტყა, წააქცია და, პრაქტიკულად, გაანეიტრალა, მაგრამ სახლში მესამე პირიც შემოიჭრა, მეც იარაღი შუბლზე მომადეს და ამით შეძლეს ზაალის შეჩერება. ჩვენთვის ყველაზე მთავარი იყო, რომ დედა, რომლის თვალწინაც ეს ყველაფერი ხდებოდა და წამოდგომას ცდილობდა საწოლიდან, ცოცხალი გადაგვერჩინა, _ იხსენებს ნინო მამალაძე.

ყაჩაღები ოქროს და ფულს ითხოვდნენ, თუმცა, ამაზე წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ:

_ სახლში, ჩავარდნილი კიბის საფეხურების შესაცვლელად ჩემი მოგროვებული 500 ლარი და ზაალის წინა დღეს აღებული ხელფასიდან შემორჩენილი 700 ლარი გვქონდა; მივასწავლე სად იდო; ქორწინების დროს ნაჩუქარი სამკაულების ადგილიც ვუთხარი _ საერთო ჯამში, 30 გრამამდე ოქროს ნაკეთობები იქნებოდა, ცოტაოდენი ვერცხლის სამკაულები _ სულ ეს იყო, რაც გვქონდა. ბევრი არც უძებნიათ _ კარადის რამდენიმე უჯრა ფორმალურად გადმოყარეს... მე მეორე სართულზე ამიყვანეს და რადგან იარაღის წართმევას ვცდილობდი, რამდენჯერმე იარაღის ტარი თავში ჩამარტყეს, მესმოდა, როგორ ცდილობდნენ ზაალის შეჩერებას და მეშინოდა, არ მოეკლათ; ზაალს ფიზიკურად არ შეხებიათ და სიტყვიერ შეურაცყოფაზეც არ პასუხობდნენ, ცდილობდნენ, სკამზე დამაგრებინათ და ხელები შეეკრათ, თუმცა, პლასტიკატის "მანჟეტები" რამდენჯერმე გაწყვიტა. ამის მერე, ელექტროსადენები მოგლიჯეს საყოფაცხოვრებო ნივთებიდან და იმით შეკრეს, _ ამბობს ნინო მამალაძე.

"ზაალს ტელეფონი გაბმულად რეკავდა _ მეგობარი ურეკავდა... ამის გამო აჩქარდნენ, ზაალმა პირზე "სკოჩის" შემოხვევისას, თავდამსხმელს ხელი დაუზიანა... ცალ-ცალკე მოვახერხეთ თავის აშვება; დედას, რომელიც უმოძრაოდაა და გაჭირვებისგან, თითქმის, ლოგინზე წამომჯდარი დაგვხვდა, ვუპატრონეთ და, ცხადია, პოლიციას შევატყობინეთ".

►ა-3

აპირებს თუ არა თალაკვაძე დეპუტატობას და სად აპირებს "ოცნება" პრაიმერის ჩატარებას

ნატო გოგელია
გურია ნიუსი

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი, ვიცე-პრემიერი, პოლიტიკური პარტია "ქართული ოცნების" გენერალური მდივანი კახი კალაძე "გურია ნიუსთან" საუბრისას ამბობს, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადება უკვე დაიწყეს. ეს სამზადისი, კალაძის განმარტებით, იმაში გამოიხატება, რომ რეგიონულ ოფისებს აძლიერებენ. კალაძის თქმით, ჯერჯერობით, არ დაწყებულა კონსულტაციები მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების შესახებ. "ქართული ოცნების" გენერალური მდივნის თქმით, ეს პროცესი იანვრიდან დაიწყება.

არჩილ თალაკვაძე | ფოტო: ნატო გოგელია

თუმცა, როგორც ირკვევა, "ქართული ოცნების" ოფისში რამდენიმე სავარაუდო კანდიდატის შესახებ მონახაზი არსებობს. უფრო მეტიც, "ქართული ოცნების" ოფისიდან, 15-კაციანი სია, "თავისუფალი საქართველოს" ლიდერის კახა კუკავას ინფორმაციით, არასამთავრობო ორგანიზაციებს და ოპოზიციურ პარტიებს, ახალი საარჩევნო ოლქების საზღვრების პრეზენტაციასთან ერთად, შეცდომით დაეგზავნათ.

სიის თანახმად, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე "ქართული ოცნების" მაჟორიტარები აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ინტელექტკლუბის წევრები იქნებიან. სიაში შს მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძეც მოხვდა, რომელიც არჩევნებში მონაწილეობას ოზურგეთში აპირებს.

არჩილ თალაკვაძე 1983 წლის 16 იანვარს ოზურგეთში დაიბადა. დაამთავრა ოზურგეთის #1 საჯარო სკოლა. 2000-2006 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, მედიცინის ფაკულტეტზე; 2010 წელს გაიარა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკის და მენეჯმენტის პროგრამა; 2006-2007 წლებში იყო აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ქალთა ჯანმრთელობის პროგრამის პროექტის კოორდინატორი; 2007 წელს იყო ფონდი "ღია საზოგადოება _ საქართველოს" ადამიანის უფლებების დაცვის მონიტორინგის პროექტის მენეჯერი; 2008-2009 წლებში საქართველოს სახალხო დამცველის მრჩეველი; 2009-2011 წლებში _ საქართველოს სახალხო დამცველის თანაშემწე მენეჯმენტის საკითხებში; 2011-2012 წლებში _ აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დემოკრატიული მმართველობის პროგრამის დირექტორის მოადგილე; 2012 წლიდან _ შიდსის, ტუბერკულოზის და მალარიის წინააღმდეგ ეროვნული საკოორდინაციო მექანიზმის წევრი; 2012 წლიდან _ გლობალური ფონდის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის დელეგაციის კოორდინატორი; 2012-2014 წლებში _ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მოადგილე; არის ელექტრონული ბიბლიოთეკა LIB.GE-ს ერთ-ერთი დამფუძნებელი; 2014 წლის დეკემბრიდან საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეა.

თალაკვაძე "გურია ნიუსთან" საუბრისას ამბობს, რომ "ინტერნეტ მედიაში გავრცელებული ცნობა მისი მაჟორიტარობის შესახებ უსაფუძვლოა":

_ არანაირი გადაწყვეტილება ამის თაობაზე არ არსებობს ამ მომენტისთვის, _ გვითხრა თალაკვაძემ.

►4

მთავარი თემა

ზვიად კვაჭანტირაძე:
"რაც აქამდე ვერ გავქაჩეთ
გვირტყეთ თავში"

(გურია ნიუსი, ჩოხატაური) _ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის ზვიად კვაჭანტირაძის განცხადებით, "რადიკალური, აგრესიული პოპულიზმი, ეტყობა უკვე დაავადებაა ქართულ ოპოზიციაში. ყველა, ვინც იბრძვის ნებისმიერი საშუალებით ხელისუფლებაში მოსასვლელად მეტნაკლებად პოპულისტობს. ჩვენთან ყოველთვის ასე იყო, მაგრამ, დღესდღეობით, ფეისბუკმა რომ მისცა გასაქანი აგრესიულ პოპულიზმს, მოკლედ.... ნუ იტყვით რაა...

ხშირად იმდენად ხელოვნურები არიან, ზუსტად ვხვდები, ვის რა შანსი აქვს სამომავლოდ. ეს გზა ხომ, მეტ-ნაკლებად ყველამ გამოვიარეთ. რა სჯობია, ყველა რომ ტაშს გიკრავს, ყველას მოსაწონს რომ ამბობ, მაგრამ მერე, რეალობა ბევრ რამეს აკორექტირებს.

ზომიერება ყველაფერში საჭიროა. ვერ სცდებით პოპულიზმს? კი ბატონო, მაგრამ იყავით პატიოსანი პოპულისტები მაინც, _ წერს კვაჭანტირაძე სოციალურ ქსელში და ოპონენტებისთვის მაგალითიც მოჰყავს:

_ როდესაც ხელისუფლებას აკრიტიკებთ, აგრესიულად ემუქრებით და ლაფს ასხამთ და ლანძღავთ პენსიას 20 ლარით უმატებსო, უფრო პატიოსანი პოპულიზმი იქნებოდა სიმართლე სრულად გეთქვათ და ისე გაგეკრიტიკებინათ ხელისუფლება.

სიმართლე კი ასე უნდა ითქვას, რომ მართალია, ქართული ოცნების ზოგიერთი წარმომადგენელი (მათ შორის, უკვე განდეგილებიც) გვპირდებოდა, რომ პენსია 220 ლარი გახდებოდა, მაგრამ ქართული ოცნების ხელისუფლებაში მოსვლის დროს პენსიები იყო 110-დან 125 ლარამდე და იგი, ჯერ-ჯერობით, მხოლოდ 180- დან 210 (მთიან რეგიონებში!!!) ლარამდე გაიზრდება. მომავალ წელს კიდევ უფრო მატების შანსებზე საერთოდ ხმას ნუ ამოიღებთ.

ის 10-დან 40 ლარამდე, რაც აქამდე ვერ გავქაჩეთ, გვირტყეთ თავში, თანახმა ვარ. ამას გარდა, აღიარეთ, რომ სოციალური პოლიტიკა მაქსიმალურად შეცვლილია ქვეყანაში და აღმოაჩინეთ და აკრიტიკეთ მერე, რასაც იპოვით სათაკილოს.

მახალისებს, როცა ვხედავ, ასეთ აგრესიულად პოპულისტურ სტატუსებს რომ იწონებენ ყოფილი ხელისუფლების ცნობილი აპოლოგეტებიც. ამ დროს თავად პოპულისტი ავტორები თავს კომფორტულად გრძნობენ, _ წერს კვაჭანტირაძე.

მორიგე რედაქტორი:
ნატო გოგელია

მისამართი: ჩოხატაური _
ნოდარ დუმბაძის ქ. #25,
☎ 22010, (599)207470
ოზურგეთი _
ჭავჭავაძის გამზირი, #4,
მე-3 სადარბაზო,
I სართული, ბინა32
ლანჩხუთი _
ნოე ჟორდანიას ქ. #114/3
თბილისი _ ☎ (832)102001
Email: guria@gurianews.com

გამოქვეყნებული მასალების
შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს
რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თავად აგებენ პასუხს
ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიო მასალები
ინახება ორი კვირის განმავლობაში;
ამ ვადის გასვლის შემდეგ
პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისგან არ მიიღებს
სამ ხელნაწერ გვერდზე
ვრცელ მასალას და
შეუკვეთავ წერილებში
ჰონორარს არ გასცემს.

გამოქვეყნებული მასალების
გადაბეჭდვა რედაქციის
ნებართვის გარეშე
აკრძალულია!

გამომცემელი ია მამალაძე
Email: ia@gurianews.com
მთავარი რედაქტორი
გიორგი სიხარულიძე
Email: gia@gurianews.com
ოფისის მენეჯერი
ვარდო ანდღულაძე
☎571903990
სარეკლამო სამსახურის უფროსი
დაკა ბერძენიშვილი
☎577725854
სტილი და კორექტურა
ნინო ბერძენიშვილი
☎551181096
ფინანსური მენეჯერი
თამარ მეფარიშვილი
☎599217485
კომპიუტერული უზრუნველყოფა
დავით ჩხიკვაძე
☎571903989

განცხადებების ფასები

ნებისმიერი სახის განცხადება:
სიტყვა _ 30 თეთრი;

სურათიანი განცხადება _
დამატებით ორი ლარი

სამგლოვიარო განცხადებების
განთავსების მიზნით ფართის
შეძენისას,
ღირებულება იანგარიშება
შესაბამისი გვერდის ფასის _
400 ლარის მიხედვით.

რეკლამის ფასები

არაპოლიტიკური რეკლამა:
1 კვადრატული სანტიმეტრის ფასი
(მთლიანი გვერდის ზომაა
1000 კვადრატული სანტიმეტრი)

პირველ გვერდზე (ფერადი): _
1.75 ლარი;
მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეცხრე:
_ 0.4 ლარი;
ბოლო გვერდზე (ფერადი) _
0.70 ლარი;
დანარჩენ გვერდებზე _ 0.28 ლარი.

შავ-თეთრი გვერდის ფერადად
დაბეჭდვა _ დამატებით 200 ლარი.

პოლიტიკური რეკლამის
ღირებულება ორმაგია.

გაზეთი დაბეჭდილია
შპს "ასავალ-დასავალის სტამბა"-ში.
მისამართი: ქ. თბილისი, აგლაძის ქ. 39,
ტელ: 2343330.
ელ-ფოსტა: print@asavali.ge

ორმეთელებმა გზა გადაკეტეს

(გურია ნიუსი, ოზურგეთი) _ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ორმეთის (შრომა) მოსახლეობამ გასულ კვირას გზა გადაკეტა და ჩინური კომპანიის კუთვნილ სატვირთო ავტომანქანებს არ ატარებდა. მოსახლეობა გადაადგილების საშუალებას არ აძლევდა ავტობანის ტერიტორიაზე მომუშავე ჩინური სამშენებლო კომპანიის სატრანსპორტო საშუალებებსაც, რომელთაც სუფსიდან ინერტული მასალა მოაქვთ.

"ძალიან მძიმე მდგომარეობაა დიდი სატვირთო მანქანების მოძრაობის გამო. იქნებ, ვინმემ მოგვხედოს. სოფელში სასწრაფო დახმარების მანქანას საათზე მეტი მაინც უნდა ავადმყოფთან მისასვლელად. ახალგაზრდა ქალი გარდაიცვალა იმის გამო, რომ სასწრაფო დახმარების მანქანა ვერ მოვიდა, ისეთი გზებია. ბავშვებს სკოლაში სიარული უჭირთ", _ თქვა ჩვენთან საუბრის დროს აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე სოფელ ორმეთში (შრომა) აქციის მონაწილეებს შეხვდა.

"სოფელში არის კარიერი, სადაც სატვირთო მანქანები დადის. ეს მანქანები ეკუთვნის ჩინურ კომპანიას. სოფლის მცხოვრებლები ჩინურ კომპანიას სთხოვდნენ გზის დაგებას. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი გზის მოხრეშვას და გამაგრებით სამუშაოებს შეასრულებს. ასევე, მინდა გითხრათ, რომ ამ გზის პროექტირებას ვიწყებთ და როგორც კი გამოჩნდება საშუალება, კაპიტალურად შევაკეთებთ. მოსახლეობასთან შევთანხმდით იმაზე, რომ მომავალ წელს ორმეთში დაიწყება ელექტრომრიცხველების დამონტაჟება, რაც ამ დრომდე არ გაკეთებულა", _ გვითხრა მერაბ ჭანუყვაძემ.

"თავისუფალი დემოკრატების" ლიდერი თემურ სალუქვაძე ამბობს, რომ ორმეთელების პრობლემები ახალი არ არის. *"ამის შესახებ ჩვენ _ "თავისუფალი დემოკრატები", ჯერ კიდევ 2012 წლის არჩევნებამდე ვსაუბრობდით და მაშინდელ ხელისუფლებას პრობლემების მოგვარებას ვსთხოვდით... შეიცვალა ხელისუფლება, მაგრამ ორმეთელებისთვის არაფერი შეცვლილა, პირიქით, დამძიმდა კიდეც. ხალხი თავს გრძნობს დაუცველად, მოტყუებულად და მიტოვებულად. კარიერის ფუნქციონირებამ მძიმე ვითარებაში ჩააყენა ადგილობრივი მოსახლეობა, გაუსაძლისი გახადა ცხოვრება. ასევე, ამორტიზირებული ელექტროგადამცემი სისტემა და სხვა მრავალი პრობლემა, აიძულებს სოფლის მოსახლეობას ასეთი ფორმით გამოხატოს პროტესტი. მინდა, შევახსენო ხელისუფლებას, ეს ის მოსახლეობაა, რომელთა თანადგომით მოხვედით ხელისუფლებაში. ნება იბოძეთ და სასწრაფოდ მიიღეთ შესაბამისი ზომები! დაპირებებს შესრულება უნდა! აუცილებელია, სასწრაფოდ გაიმართოს კერძო კომპანიის წარმომადგენლებთან შესაბამისი სტრუქტურების წარმომადგენლების შეხვედრა, სადაც განხილული იქნება მოსახლეობის სამართლიანი მოთხოვნები და მაქსიმალურად დაცული მათი უფლებები. ასევე, აღნიშნული პრობლემების მოგვარება, გათვალისწინებულ იქნას მიმდინარე 2016 წლის ბიუჯეტში"*, _ თქვა თემურ სალუქვაძემ.

პრემიერამ წარმატებით ჩაიარა

(გურია ნიუსი, ლანჩხუთი) _ ლანჩხუთის კულტურის სახლის სცენაზე ეგნატე ნინოშვილის სახელობის სახალხო თეატრის დასი მაყურებლის წინაშე პრემიერით წარსდგა.

მაყურებელმა იხილა ლაშა ბუღაძის ერთმოქმედებიანი პიესა "ნაფტალინი", რომლის რეჟისურაც ბათუმის თეატრის მსახიობს დავით წერეთელს ეკუთვნის, მხატვრობა _ შოთა ჭყონიას, ხოლო ქორეოგრაფიულად ირაკლი ჩახვაძემ გააფორმა. სპექტაკლის ტექნიკური რეჟისორი კი ნანა ორაგველიძეა.

აღსანიშნავია, რომ დღესასწაული მართლაც შედგა და ლანჩხუთელმა მაყურებელმა, რომელსაც მრავალწლიანი შესვენების შემდეგ პირველად მიეცა საშუალება ადგილობრივ სცენის მოყვარულთა მონაწილეობით სპექტაკლი ენახა, ძალიან კარგად მიიღო იგი. ყოველი მსახიობის სცენაზე გამოჩენას დარბაზი ოვაციებით ხვდებოდა.

ოთარ დანელია ნატანებში

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი **ოთარ დანელია** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატანებს ეწვია და "ქართული სუბტროპიკული ხილის კომპანია _ "დავით სიხარულიძე" დაათვალიერა, დაესწრო მანდარინის ზომების მიხედვით დახარისხების პროცესს, რომელიც ციტრუსის დამხარისხებელი ესპანური წარმოების ხაზის მეშვეობით ხდება. მინისტრმა ასევე დაათვალიერა შპს "კიდობანი", სადაც, ჩინური დანადგარის მეშვეობით, წელს პირველად დაამზადეს მანდარინის ჩასაწყობი სპეციალური პლასტმასის ყუთები. წარმატებულმა მეწარმემ, ბიზნესმენმა დავით სიხარულიძემ ისაუბრა საწარმოს შესახებ, მან აღნიშნა ისიც, რომ წელს მანდარინის ჩაბარების და გასაღების პრობლემა მეციტრუსეებს არ ექნებათ.

ოთარ დანელიას ადგილზე დახვდნენ გურიის გუბერნატორი გია სალუქვაძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე და ქალაქ ოზურგეთის მერი ბეგლარ სიორიძე. მათ ერთად მოინახულეს ნატანებში მიმდინარე სამელიორაციო სამუშაოები, სადაც დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია ხდება.

"რომ არა ჩინეთის მხარის მიერ გადმოცემული 40 ერთეული ტექნიკა, ეს უდიდესი საქმე ვერ გაკეთდებოდა. აქ ერთდროულად ორი საშვილიშვილო საქმე კეთდება, ხდება 11 კმ სიგრძის არხის რეაბილიტაცია და 200 ჰა მიწის ფართობი კვლავ ვარგისი გახდება", _ თქვა ოთარ დანელიამ.

"ხელოვნების ქურუმი"

(გურია ნიუსი, ოზურგეთი) _ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მაკვანეთის მკვიდრს, ცნობილ ლოტბარს, 85 წლის **გური სიხარულიძეს** საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრი **მიხეილ გიორგაძე** ეწვია და ქართული ხელოვნების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, სამინისტროს უმაღლესი ჯილდო _ "ხელოვნების ქურუმი" გადასცა. აღნიშნულ ღონისძიებას ესწრებოდნენ ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი **გიორგი დონაძე**, ცნობილი მომღერალი **ანზორ ერქომაიშვილი**, გურიის ფოლკლორის სკოლის დირექტორი **ავთანდილ სურგულაძე**, ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი **ვასილ ჩიგოგიძე**, გურიის გუბერნატორი **გია სალუქვაძე**, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი **მერაბ ჭანუყვაძე** და ქალაქ ოზურგეთის მერი **ბეგლარ სიორიძე** ესწრებოდნენ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ გური სიხარულიძეს მიულოცა ღვაწლის დაფასება და გამგეობის სახელით 500 ლარით დააჯილდოა.

გური სიხარულიძემ, ტრისტან სიხარულიძესთან ერთად შეასრულა ხალხური "მადლობელი ვარ".

გური სიხარულიძე დააჯილდოვეს

იკითხეთ
გურია NEWS

სამახსოვრო ჩინოვნიკებისთვის

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
თავი III. ინფორმაციის თავისუფლება
მუხლი 28. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

საჯარო ინფორმაცია ღიაა გარდა საკანონმდებლო აქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ანდა, როდესაც ღიაობა აშკარად და გარდაუვლად არსებით ზიანს მიაყენებს:

ა) ეროვნულ უსაფრთხოებას, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მისი გამხელა დაემუქრება დაგეგმილი ან განხორციელების პროცესში მყოფი სამხედრო, სადაზვერვო ან დიპლომატიურ ქმედებათა განხორციელებას და მათ მონაწილეთა ფიზიკურ უსაფრთხოებას;

ბ) სისხლის სამართლის დანაშაულის გამოძიებას, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მისი გამხელა საფრთხეს შეუქმნის სამართალდამცავი ან სადაზვერვო სამსახურების კონფიდენციალური წყაროების იდენტიფიცირებას, ხელს შეუშლის დანაშაულის თავიდან აცილებას, გამოვლენას, აღკვეთასა და დამნაშავის პასუხისგებაში მიცემას, საფრთხეს შეუქმნის ნებისმიერი პირის სიცოცხლესა და ფიზიკურ უსაფრთხოებას ან შელახავს ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის უფლებას გამოძიების საიდუმლოებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გამოტანილია დადგენილება ამ ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ძებნის შესახებ.

მუხლი 36. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაადგინოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოხელე.

მუხლი 37. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა

ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა.

მუხლი 38. საჯარო ინფორმაციის ასლის ხელმისაწვდომობა

საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ასლების ხელმისაწვდომობა.

მუხლი 40. გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ

1. საჯარო დაწესებულება ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ დაუყოვნებლივ.

2. საჯარო დაწესებულება ვალდებულია აცნობოს განმცხადებელს მიღებული გადაწყვეტილების, მისი საფუძვლის და შესაბამისი ნორმატიული აქტის შესახებ.

მუხლი 41. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის შემთხვევაში, საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების პროცედურა, ასევე მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას.

"გურია ნიუსის" ჟურნალისტთა ეთიკური კოდექსი

❖ ჟურნალისტი ვალდებულია თქვას სიმართლე, გადაამოწმოს მიღებული ინფორმაცია და დააზუსტოს ყველა მხარის ინტერესები, არ შელახოს პიროვნების უფლებები, უდანაშაულობის პრეზუმპცია და დაიცვას ინფორმაციის წყაროს პირადულობა.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია პირველ რიგში დაიცვას მოქალაქეთა უფლებები და საზოგადოების ინტერესები, არ დაუშვას დისკრიმინაცია ნებისმიერ საფუძველზე.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია თავისი ცხოვრების წესისგან გამომდინარე, შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა მათგან, ვისზეც ის წერს.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია ასრულებდეს ნებისმიერ ძალაუფლებაზე დამოუკიდებელ მონიტორინგს სამოქალაქო ჟურნალისტიკის პრინციპების სასარგებლოდ.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია არ გააზვიადოს მოვლენები, შეინარჩუნოს სიმშვიდე, მზად იყოს უარის ან შეურაცხყოფისთვისაც კი.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია არ იყოს არც ერთი პოლიტიკური პარტიის ან პოლიტიკური ორგანიზაციის წევრი, არ დაუშვას შეფარული ან პირდაპირი რეკლამა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის საფუძველზე არ დაუშვას კერძო ან ეკონომიკური ხასიათის გავლენა მასზე.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია განსაკუთრებით დაიცვას ბავშვთა უფლებები, ხელშეუხებლად მიიჩნიოს მისი პიროვნების საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბების პროცესი.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია ფართოდ ითანამშრომლოს კოლეგებთან, შექმნას კომპრომისული და მიმტევებლობის ატმოსფერო.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია სიტყვით, საქმით და სამოქალაქო პასუხისმგებლობით დაიცვას ჩვენი გაზეთის ინტერესები და ეს ეთიკური კოდექსი გაზეთის პოპულარობისა და პრესტიჟის გასაზრდელად.

"მთელ რაიონში თქვენ ამოგარჩიეს წესიერებაზე და პატიოსნებაზე საყაჩაღოდ!"

ა-1►

საგულისხმოა, რომ საქმეში ბევრი დეტალია, რომელიც თავდასხმის პოლიტიკურ ელფერზე მიანიშნებს _ ყაჩაღებს არ წაუღიათ მაგიდაზე დადებული, კომუნალური გადასახედებისთვის განკუთვნილი 200 ლარი, ოჯახის დედის ნიშნობის ბეჭედი, რომელიც ხელზე მუდმივად უკეთია, ნინო მამლაძეს საყურეებიც ეკეთა... ისიც, რომ საღამოს, რაიონის ცენტრში, ყაჩაღებს არაფრის შეშინებიათ; ამ დღეებში პოლიცია რეიდებს ატარებდა და ავტომანქანებს, მგზავრებსა და ფეხით მოსიარულეებსაც საფუძვლიანად ამოწმებდა. სწორედ, იმ საღამოს, 18 საათზე რეიდები დასრულდა. უნდა ითქვას ისიც, რომ ზაალ მამალაძის სახლი ჩოხატაურის პოლიციის შენობიდან ორასიოდე მეტრში მდებარეობს.

თვითმხილველების თქმით, ყაჩაღობის დროს მამალაძეების სახლის მიმდებარე ტერორიტიაზე საპატრულო ეკიპაჟი მოძრაობდა და ეს იქვე მდებარე "ავერსის" საავადმყოფოს და "ვისოლის" ავტოგასამართი სადგურის კამერებმაც დააფიქსირა.

ყაჩაღობიდან 12-საათზე მეტი იყო გასული, როცა გურიის სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა გატაცებული ავტომანქანა სამტრედიაში, რკინიგზის მიმდებარე ტერიტორიაზე იპოვეს.

მომხდარზე სისხლის სამართლის საქმე 179-ე მუხლითაა აღძრული.

მამალაძის ოჯახის დაყაჩაღებას პოლიტიკურ წრეებში ბევრი გამოხმაურება მოჰყვა. უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ ეს რიგითი ყაჩაღობა არ ყოფილა.

უმრავლესობის ლიდერი და საქართველოს პარლამენტის დეპუტატი ზვიად კვაჭანტირაძე ამბობს, რომ ეს *"ხელისუფლებისთვის პირდაპირ სილის განწვნაა"*

"აღშფოთებული ვარ. ეს არის ხელისუფლებისთვის პირდაპირ სილის განწნა და შეურაცხყოფა. პირადად, მეც შეურაცხყოფილად ვთვლი თავს. კატეგორიულად მოვითხოვ, გატარდეს მასშტაბური ოპერატიულ-სამძებრო სამუშაოები ყველა მიმართულებით და უზრუნველყოფილ იქნას ყაჩაღების და მათ უკან მდგომი ელემენტების სასწრაფო დაპატიმრება და პასუხისგებაში მიცემა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, პირველი ინფორმაციების საფუძველზე ვეჭვობ, რომ საკრებულოს თავმჯდომარეზე თავდასხმა არ ჰგავს მხოლოდ ძარცვის მიზნით ჩადენილ ყაჩაღობას. ეს არის საზოგადოების დაშანტაჟების მორიგი მცდელობა. ამიტომ გადაუდებლად, სიღრმისეულ გამოძიებას მოვითხოვ. მხოლოდ ყაჩაღების დაკავებით და მანქანის დაბრუნებით ეს საქმე ვერ დამთავრდება. ხაზგასმით და ყველას გასაგონად ვამბობ, ამ საქმის სასწრაფოდ გახსნა იქნება სერიოზული ტესტი ბევრი თანამდებობის პირისთვის სამართალდამცავ სისტემაში და თუ, სამწუხაროდ, საჭირო გახდება, მათი პასუხისმგებლობის საკითხს, შედეგებიდან გამომდინარე, პირადად დავაყენებ და ბოლომდე მივყვები", _ ამბობს ზვიად კვაჭანტირაძე.

ჩოხატაურის დეპუტატი საქართველოს პარლამენტში თემურ ჭკუასელი იმედოვნებს, რომ ჩოხატაურში მომხდარი ყაჩაღობის ფაქტი დროულად იქნება გახსნილი.

"წინასწარ ძალიან ძნელია დასკვნების გაკეთება, იმ პირებს, რომლებმაც დააყაჩაღეს ზაალ მამალაძის ოჯახი, იქ ბევრი არაფერი არ ეგულებოდათ, რადგან ეს ოჯახი დიდი ქონების მფლობელი არ არის. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ეს იყო წინასწარ გამიზნული ქმედება.

დაველოდოთ გამოძიებას და ყველაფერს მოეფინება ნათელი. ვესაუბრე ყველას და საქმის კურსში ვარ. სამართალდამცავებმა დამაიმედეს, რომ ეს საქმე დროულად იქნება გახსნილი. ძიებაში მთელი იმერეთის და გურიის სამართალდამცავები არიან ჩართულები. როდესაც გაიხსნება ეს საქმე, ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა", _ გვითხრა თემურ ჭკუასელმა.

საქართველოს პარლამენტის წევრი ანი მიროტაძე მიიჩნევს, რომ ჩოხატაურის საკრებულოს თავმჯდომარის, ზაალ მამალაძის ოჯახის დაყაჩაღების ფაქტი სახელმწიფოსთვის ძალიან დიდი გამოწვევაა.

"ზოგადად, ყველა ფაქტი გამოწვევაა, მაგრამ როდესაც საკრებულოს თავმჯდომარეს ეხება საქმე და თანამდებობის პირს, მე შემიძლია ვთქვა, ეს კიდევ უფრო ამძიმებს ვითარებას. გამოწვევა ყველა შემთხვევაში არის და ვამბობ, ყველა კრიმინალური ფაქტი გამოწვევაა. სახელმწიფომ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ეს დანაშაული გაიხსნას თუ აქამდე გახსნილი არ არის", _ განაცხადა მიროტაძემ.

საქართველოს პარლამენტის წევრი, გია ჟორჟოლიანი "გურია ნიუსთან" სატელეფონო საუბრის დროს ამბობს, რომ ჩოხატაურში ორი დღის წინ მომხდარი ფაქტი დროულად უნდა გამოიძიონ.

"ეს არის კრიმინალური შემთხვევა და ცხადია, რომ ყველანაირად დასაგმობია. ზუსტად არ ვიცი, ამას რაიმე პოლიტიკური საფუძველი აქვს თუ არა; ეს გამოძიებამ უნდა დაადგინოს, შესაძლოა, პოლიტიკური მიზანი ჰქონდეს ამ ყველაფერს, მაგრამ დასადგენია ჯერ ყველაფერი. ვიმედოვნებ, რომ ეს ფაქტი დროულად იქნება გამოძიებული", _ გვითხრა გია ჟორჟოლიანმა.

ლანჩხუთის მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში თემურ ჩხაიძე, აღნიშნულ შემთხვევას შემაშფოთებელს უწოდებს:

"ძალიან ცუდი ფაქტი მოხდა და ყველა ვალდებულები ვართ გვერდით დავუდგეთ ამ ოჯახს. რაც შეიძლება მალე უნდა გაირკვეს სინამდვილე. ჩემი აზრით, არა მგონია, ეს შემთხვევა ვინმეს დაშინებას და დაშანტაჟებას ემსახურებოდა, მე უფრო შეცდომა მგონია. უტყუარია, რომ, რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოხდეს საქმის გამოძიება და დამნაშავეების დასჯა", _ აღნიშნავს ჩხაიძე.

გურიის გუბერნატორის, გია სალუქვაძის თქმით, ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ეს საქმე დროულად იქნას გახსნილი:

"ეს არის სერიოზული გამოწვევა. იმიტომ, რომ, შეიძლება ითქვას, ჩვენ ყველა დაგვაყაჩაღეს _ მთელი გურიის ხელისუფლება.

ეს არის აღმაშფოთებელი ფაქტი, ზოგადად, არ აქვს მნიშვნელობა ვის დააყაჩაღებენ, ყველა ბოროტმოქმედი პასუხისგებაში უნდა იქნეს მიცემული. როდესაც შედიან და საკრებულოს თავმჯდომარეს აყაჩაღებენ, ეს არის აღმაშფოთებელი", _ აღნიშნა გუბერნატორმა.

ლანჩხუთის საკრებულოს თავმჯდომარე, გოგი ხელაძე ამბობს, რომ მალე უნდა გაირკვეს რეალობა:

"შეძალიან ახლო ურთიერთობა მაქვს ბატონ ზაალთან, ამ ფაქტის შემდეგ ვესაუბრე კიდეც მას. გაოგნებული ვარ მომხდარით, ეს იყო ნამდვილად შემაძრწუნებელი ამბავი ყველასთვის. სამართალდამცავმა უწყებებმა, რაც შეიძლება მალე უნდა გაატარონ ოპერატიულ-სამძებრო სამუშაოები და უზრუნველყონ დამნაშავეების დაპატიმრება. მალე უნდა გაირკვეს, სინამდვილეში რასთან გვქონდა საქმე _ მართლა ყაჩაღობასთან თუ სხვა რამესთან. არ უნდა შევუწყოთ ხელი საზოგადოებაში დაუცველობის სინდრომის გაღვივებას", _ განაცხადა **გოგი ხელაძემ.**

"ამაზრზენი და ცინიკური ძალადობრივი აქტის გამო, ყველა ჩოხატაურელი, განსაკუთრებით ისინი, ვინც ხელისუფლებაში ვართ, თავმოყვარეობაშელახულია, გარდა ზაალ მამალაძისა, რადგან მან და მისმა მეუღლემ ყველაფერი გააკეთეს, რაც შეეძლოთ. რას შეძლებს ხელისუფლება? _ ამ კითხვას დროზე უნდა გაეცეს პასუხი" _ ასე გამოეხმაურა **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი ირაკლი კუჭავა** ჩოხატაურის საკრებულოს თავმჯდომარის, ზაალ მამალაძის ოჯახის დაყაჩაღებას სოციალურ ქსელში.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ზაზა ურუშაძე ზაალ მამალაძის ოჯახის დაყაჩაღების ვანდალურს უწოდებს. *"ახლო ურთიერთობა მაქვს ბატონ ზაალთან, ის წესიერი და პატიოსანი ადამიანია. მომხდარით შეძრწუნებული ვარ. რა შეიძლება ვუწოდო ამ ფაქტს, გარდა ვანდალურისა. ამ ფაქტით შეურაცხყოფილია არა მხოლოდ ზაალ მამალაძის ოჯახი, არამედ სრულიად გურია, ხელისუფლების ყველა წარმომადგენელი. სამართალდამცავმა უწყებებმა, რაც შეიძლება მალე უნდა გამოიძიონ საქმე, სასწრაფოდ უნდა დისაჯოს დამნაშავე, ეს მათი და ჩვენი პრესტიჟის საკითხია. ჩვენ თანადგომას და მხარდაჭერას ვუცხადებთ დაზარალებულის ოჯახს და იმედს ვიტოვებთ, რომ ყველაფერი დროულად გაირკვევა"*, _ აღნიშნავს ზაზა ურუშაძე.

"ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის, დავით მჟავანაძის თქმით, ჩოხატაურში მომხდარი ყაჩაღობა არის იმ გაუაზრებელი და მავნებელური პოლიტიკის შედეგი, რაც კოალიცია "ქართულმა ოცნებამ" გაატარა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე.

"ვითომ სამართლიანობის აღდგენის მიზნით ასობით კრიმინალი გამოუშვეს ციხიდან, რასაც, ბუნებრივია, მოჰყვა კრიმინალური მდგომარეობის გაუარესება. ესეც არ იკმარეს და დამნაშავეებთან მებრძოლი სამართალდამცავები, რომლებიც საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავდნენ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების უსაფრთხოებას, ციხეში გამოკეტეს.

თუ ხელისუფლება ოპოზიციური პარტიების ლიდერების დევნის ნაცვლად კრიმინალებთან ბრძოლით დაკავდება, საპატრულო პოლიციის შენობიდან 200 მეტრში მოახერხებს დანაშაულებრივი ქმედებების აღკვეთას", _ განაცხადა მჟავანაძემ სატელეფონო საუბრისას.

პარტია "თავისუფალი დემოკრატების" ლანჩხუთის ორგანიზაციის თავმჯდომარე ვახტანგ ზენაიშვილი მომხდარს ხელისუფლების სისუსტედ აღიქვამს, რადგან მისი აზრით, "ხელისუფლება, რომელიც სოციალისტური ნაგვითაა თავგამოჭედილი, არ გააჩნია პოლიტიკური ნება და კულტურა, ხელი შეუწყოს ქვეყნის თავისუფალ, დემოკრატიულ გარემოში განვითარებას".

"რაც მეტი აკრძალვა და რეიდები იქნება, პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით, მით მეტი ავაზაკი და ქურდი გვეყოლება. ფაქტია, რომ მომხდარმა შემთხვევამ კიდევ უფრო გაზარდა დაუცველობის შეგრძნება მოსახლეობაში".

ყველაფერი, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება, პოლიციაზე მეტად იმ დანაშაულებრივი რეჟიმის დამსახურებაა, რომელიც ივანიშვილმა ჩამოაყალიბა. ქვეყანაში, სადაც კრიმინალი არის წახალისებული, სადაც კრიმინალი და ხელისუფლება ერთ მოედანზე ძოვს და მეტიც, ისინი ანგარიშგასაწევ პერსონებად ითვლებიან, შედეგებიც ფატალურია!

შეიძლება ითქვას, არა მხოლოდ გურიაში, არამედ საქართველოს მასშტაბით უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა ბოლო 12 წლის განმავლობაში", _ აღნიშნავს ზენაიშვილი

"ჩოხატაურის საკრებულოს თავმჯდომარის, ზაალ მამალაძის ოჯახი დააყაჩაღეს დაბა ჩოხატაურში, რომელიც, ამავდროულად, გამომცემლობა "გურია ნიუსის" რედაქტორის ია მამალაძის ძმაა.

მგონი, ზემოთ ჩამოთვლილი საკმარისია, რომ ამ ძალიან სამწუხარო შემთხვევას ვუწოდოთ უპრეცედენტო და არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ წლის სკანდალია. თანადგომა დაზარალებულ ოჯახს!" _ აცხადებს **ლანჩხუთის საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატი კახა ასკურავა.**

ზაალ მამალაძის და, "გურია ნიუსის" გამომცემელი ია მამალაძე ამბობს, რომ ამ ფაქტით, პირველ რიგში, გურიაში მცხოვრები წესიერი, მშრომელი ადამიანების დაშინება სურდათ.

"ჩვენ ბევრი ვართ და გეშინოდეთ, ვისაც ქვეყანა და წესიერება ხელის ჭუჭყი გგონიათ! ვერასდროს გამოცდით იმ ბედნიერებას, რასაც ხალხის, კარგი ადამიანების სიყვარული, ერთად დგომა და დაფასება ჰქვია! ჩემი საამაყო რძლის პაციენტების ცრემლები, კოცნა, ამ დღეებში რომ მოდიან და ნატკენ შუბლზე ეფერებიან, ზაალის მიმართ გამოვლენილი ხალხის სიყვარული და თანადგომა ღირს ერთ სიცოცხლედ!

ერთ წერილს გთავაზობთ იმათ გასაგონად, ვინც ეს დაგეგმა: "მიუხედავად ამხელა ტკივილისა, ზალიკო და თქვენი ოჯახი ამაყი და გმირები ხართ, ქალბატონო ია, იმიტომ, რომ მთელ რაიონში თქვენ ამოგარჩიეს წესიერებასა და პატიოსნებაზე საყაჩაღოდ, ყველანი შეწუხებული ვართ! თქვენ გვერდში ვდგავართ!" _ ეს კარგი ადამიანის წერილია და *მეტი სიყვარული რაღა უნდა იყოს?! ჩოხატაურში სიმდიდრე არასდროს იყო, მაგრამ პატიოსანი და წესიერი ხალხი არასდროს აკლდა _ ჩრდილში იდგნენ და დგანან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გადაშენდნენ და აღარ არსებობენ! ამ ხალხით არსებობს ეს ქვეყანა ჯერ კიდევ და არა ფულზე დასუქებული გარეწრებით! ნურავინ ფიქრობს, რომ ეს შეგვაშინებს _ ბედნიერი ვარ, რომ ზაალი მხნედ, იმედიანადაა და ჩვენს ოჯახს ხალხის სიყვარული იცავს!"* _ წერს ია მამალაძე სოციალურ ქსელში.

საქმე ძალიან რეზონანსულია და ქვეყნის პირველი პირებისთვის პრესტიჟის, სახელმწიფოებრიობის, საზოგადოებაში დაცულობის გაჩენას უკავშირდება; საქმეს პირადად ადევნებს თვალს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრები, პრეზიდენტი, უმრავლესობის ლიდერი ზვიად კვაჭანტირაძე, დეპუტატთა კორპუსი.

რა ხდება ბახმაროში – "ახლა გზის გაწმენდა წყალში ფულის გადაყრაა"

ნატო გოგელია
გურია ნიუსი

28 ნოემბერს, სტიქიამ კურორტ ბახმაროს შეუტია _ როგორც ჩვენთან საუბრისას ა(ა)იპ "ბახმაროს" დირექტორმა დავით საჯაიამ აღნიშნა, ქარიშხალმა კურორტზე ხეები მოგლიჯა და სახლები დააზიანა:

_ 50-ზე მეტი სახლია დანგრეული, სახურავებია ახდილი. დაზიანდა სასტუმროს შენობის ნაწილი. ზარალი საკმაოდ დიდია, _ გვითხრა საჯაიამ.

საჯაიას ინფორმაციით, განსაკუთრებით დაზარალდა ვაკიჯვრის, ინგოროყვას და სატყეოს ქუჩაზე მცხოვრები მოსახლეობა.

საჯაია, 28 ნოემბერს, ჩვენთან საუბრისას ამბობდა, რომ გზა 30 ნოემბერს გაიწმინდებოდა და დაზარალებულებს საკუთარი ქონების ნახვა შეეძლებოდათ, თუმცა, როგორც გვითხრეს, ბახმაროში მისასვლელი გზა ამ დრომდე არ გაწმენდილა:

_ იმის საშუალებაც არ გვაქვს, რომ ავიდეთ და ვნახოთ, რა მდგომარეობაა. თუ რაიმეს გადარჩენაა შესაძლებელი, გადავარჩინოთ. ვიცით, რომ ბევრი სახლია დანგრეული, ზოგი _ ნახევრად, ზოგი _ მთლიანად. არ ვიცით, რა უნდა ვქნათ. სახურავახდილ სახლებში წყალი ჩადის და პატრონი არავინ ჰყავს. გურიას და ჩოხატაურს კი ისეთი ხელისუფლება ჰყავს, რომ დახმარების მაგივრად ხელს გვიშლის _ ხუთი დღეა, გზის გაწმენდა ვერ მოახერხეს, _ აღნიშნეს "გურია ნიუსთან" საუბრისას ბახმაროში არსებული კოტეჯების მეპატრონეებმა.

დავით საჯაია ამბობს, რომ გზის გაწმენდას ხელს უამინდობა უშლის. თუმცა, ჩვენი წყარო ამტკიცებს, რომ ამის მიზეზი ტექნიკის არქონაა:

_ ტექნიკა არ ჰყავთ და ვერ წმენდენ. გუბერნიას ჰყავდა ისეთი ტრაქტორი, რომელსაც გზის გაწმენდა შეეძლო რთულ პირობებში. ეს ტრაქტორი გია სალუქვაძემ ქალაქ ოზურგეთის მერიას გადასცა, რომელსაც სამტრედიაში აქვს გაქირავებული და მისი გამოყენება ამიტომ ვერ ხერხდება, _ ამბობს ჩვენი წყარო.

ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფენ **დავით საჯაია** და **გურიის გუბერნატორი:**

_ ტექნიკა იყო ასული და მხოლოდ გზის ერთკილომეტრიანი მონაკვეთის გაწმენდა მოხერხდა, ამიტომ ლაფეტით აგვყავს უფრო ძლიერი ტექნიკა. ამავდროულად, პროგნოზის მიხედვით, უახლოეს დღეებში საკმაოდ ცუდი ამინდია მოსალოდნელი, _ აღნიშნა ჩვენთან საუბრისას გია სალუქვაძემ.

_ ბატონო გია, როგორც გვითხრეს, ერთადერთი ტექნიკა, რომელსაც ბახმაროში გზის გაწმენდა შეეძლო, თქვენ ქალაქის მერიას გადაეცით, რომელმაც ის გააქირავა...

_ დღეს მქონდა შეხვედრა კურორტის დირექტორთან და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელთან. ტექნიკის აყვანის საკითხი გადაწყდა და ლაფეტით აიყვანენ. დანარჩენი გამგებელმა დაწვრილებით იცის, _ ამბობს გურიის გუბერნატორი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის, ირაკლი კუჭავას თქმით, გზის გაწმენდა ძლიერი თოვის გამო ვერ ხერხდება:

_ თოვა გაგრძელდა და ახლა გზის გაწმენდა წყალში ფულის გადაყრაა. როგორც ვიცით, ორი დღე კიდევ ითოვებს.

_ მანამდე სახლები სახურავახდილი უნდა იყოს?

_ რა გავაკეთოთ ახლა? გუშინ გაიწმინდა გზის მხოლოდ ასოცმეტრიანი მონაკვეთი.

_ როგორც გვეუბნებიან, გზის გაუწმენდაობა შესაბამისი ტექნიკის არარსებობის ბრალია...

_ "ჯამაცუა" ერთი, რომელიც წმენდს.

_ ეს ის "ჯამაცუა", რომელიც გუბერნიამ მერიას გადასცა და ახლა გაქირავებულია?

_ კი, ჩვენ არ გვყავს. როცა ამინდი გაუმჯობესდება, ვეცდებით, არსებული ტექნიკით გავიყვანოთ გზა და ავიდეთ ბახმაროში, _ გვითხრა კუჭავამ.

ქალაქ ოზურგეთის მერის, ბეგლარ სიორიძის თქმით, მისთვის ტრაქტორი არავის მოუთხოვია:

_ გაქირავების შესახებ ხელშეკრულება გაფორმებულია, თუმცა, ჯერ არ წაუყვანიათ და, შესაბამისად, ტრაქტორი ოზურგეთშია. გარდა ამისა, თუკი სტიქიის გამო მისი საჭიროება იქნება, არც ერთ მუნიციპალიტეტს პრობლემა არ შეექმნება. ჩვენთვის ტრაქტორი არავის მოუთხოვია. როგორც ვიცი, ბახმაროში თოვს და დღეს, ხვალ და ზეგ ტრაქტორი არ სჭირდებათ, _ აღნიშნა ჩვენთან საუბრისას სიორიძემ.

ფოტოები გივი სიხარულიძის

აპირებს თუ არა თალაკვაძე დეპუტატობას და სად აპირებს "ოცნება" პრაიმერის ჩატარებას

ა-1►

_ ბატონო არჩილ, აღნიშნული ინფორმაცია "გურია ნიუსს" პოლიტიკურ წრეებშიც დაუდასტურეს...

_ როგორც 2012-2015 წლებში, მომავალშიც ჩემს თავს უფრო ვხედავ ტექნოკრატიულ გარემოში, როცა ჩვენი ქვეყნისთვის სტრატეგიულ და ინოვაციურ პროექტებზე ვმუშაობ.

_ პარლამენტში არა?

_ პარლამენტი ამისგან სრულიად განსხვავებული სივრცეა.

_ არ ყოფილა ამ თემაზე თქვენთან კონსულტაციები?

_ კონსულტაციები არ ყოფილა.

_ ეს გასაგებია, მაგრამ თუ პოლიტიკას დასჭირდა?

_ გურიას ჩემზე გამოცდილი, ნიჭიერი და წარმატებული არაერთი ადამიანი ჰყავს.

_ შეგიძლიათ ჩამოთვალოთ?

_ იმის გამო, რომ შსს მინისტრის მოადგილე ვარ, კონკრეტული გვარების დასახელება ჩემი მხრიდან შეცდომა იქნება. ამიტომ თავს შევიკავებ ამაზე საუბრისგან, _ აღნიშნა ჩვენთან საუბრისას თალაკვაძემ.

აღსანიშნავია, რომ გავრცელებულ სიაში მოხვდა **ჩოხატაურის მაჟორიტარი დეპუტატი თემურ ჭკუასელი.** თუ სიას დავეყრდნობით, ჭკუასელი ამბროლაურის მაჟორიტარი დეპუტატი უნდა გახდეს: *_ ჯერ ვერ გავედით კვალზე. ვიღაცამ ძალიან იაქტიურა. რაღაც ყურმოკვრით არის გაკეთებული. არეულია ოლქები. ერთადერთი, რაც შეიძლება, სწორად მივიჩნიოთ, სავარაუდო გვარებია, თუმცა, ისიც არეულია,* _ ამბობს ჭკუასელი "გურია ნიუსთან".

მისივე თქმით, ეს საკითხი ჯერ ბოლომდე არ არის გადაწყვეტილი:

_ ჯერ საარჩევნო ოლქების კონფიგურაციაც არ არის გადაწყვეტილი. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება რომ უნდა შესრულდეს, ამაზე ორი აზრი არ არსებობს _ ეს ვალდებულებაა. თუმცა, როგორ ფორმას მიიღებს, არ არის დაზუსტებული. ყოველ შემთხვევაში, ლანჩხუთი და ჩოხატაური რომ ერთიანდება, ეს გადაწყვეტილია, _ გვითხრა ჭკუასელმა.

ჩოხატაურის მაჟორიტარი დეპუტატის თქმით, ცნობილია მხოლოდ ის, რომ თითო საარჩევნო ოლქში სამი კანდიდატი დასახელდება:

_ პრაიმერი ჩატარდება ისე, როგორც მიღებულია და ვინც ყველაზე დიდ მხარდაჭერას მიიღებს, ის დარჩება. ახლა ამ კანდიდატურების ჩამოყალიბების პროცესში ვართ.

_ ბატონო თემურ, თქვენ ისევ გინდათ ჩოხატაურის დეპუტატობა?

_ მე, პირადად, არ მაქვს სურვილი, მაგრამ ამ შემთხვევაში, ჩემი სურვილი ძალიან დიდ როლს არ თამაშობს ერთი მიზეზის გამო _ ვალდებულებები არსებობს. ნუ გავუსწრებთ მოვლენებს.

_ გაქვთ ჩოხატაურელების მხარდაჭერის იმედი?

_ მე რომ ახლა იმედის გარეშე და წყალგადაწურული ვიყო, არ დავაყენებდი ჩემს კანდიდატურას, თუ ეს მოხდა საერთოდ, _ გვითხრა ჭკუასელმა, რომელიც "ქართული ოცნების" პოლიტსაბჭოს წევრია.

გავრცელებული სიის თანახმად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან იზორია ხობის მაჟორიტარობის კანდიდატი იქნება, თამაზ მეჭიაური _ თეთრიწყაროს, ირაკლი ტრიპოლსკი _ გარდაბნის, დიმიტრი ხუნდაძე _ ბოლნისის.

თამაზ მეჭიაურმა სიის ნამდვილობა არ დაადასტურა:

_ მე, საერთოდ, ბუნებით მაჟორიტარი ვარ, მაგრამ აბსოლუტურად შეუსაბამობაშია ჩემთან ის რაიონი, რომელიც მე მიწერია. როგორც ვიცი, წერია, რომ თეთრიწყაროს მაჟორიტარი დეპუტატი ვიქნები. ორჯერ ვარ ნამყოფი სულ თეთრწყაროში. შეიძლება, ვიღაცასთან არის მონახაზი ასეთი. ბოლო შეხვედრაზე ითქვა, რომ თითოეული მაჟორიტარი დეპუტატის შერჩევა ინდივიდუალურად მოხდებოდა, _ განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას მეჭიაურმა.

კახი კალაძე და თემურ ჭკუასელი | ფოტო: ნატო გოგელია

გავრცელებულ სიაზე კომენტარი გააკეთა "ქართული ოცნების" აღმასრულებელმა მდივანმა, რომლის თქმით, არასამთავრობო ორგანიზაციებს და ოპოზიციურ პარტიებს, ახალი საარჩევნო ოლქების საზღვრების პრეზენტაცია გაუგზავნა და არა მაჟორიტართა კანდიდატების სია: *"გაგზავნილია ოლქების საზღვრების პრეზენტაცია, ეს თვითონ გავაკეთე"*, _ განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

აღსანიშნავია, რომ "ოცნების" რჩეულთა გავრცელებულ სიაში ყოფილი ნაციონალები _ კახა ოქრიაშვილი, გოჩა ენუქიძე, დავით ბეჟუაშვილიც მოხვდნენ.

საპარლამენტო უმრავლესობის ნაწილი ამ ინფორმაციას არ უარყოფს, თუმცა, ნაწილი, მათ შორის, ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე და დიმიტრი ხუნდაძე ყოფილი "ნაციონალების" მათ გუნდში ყოფნას კატეგორიულად გამორიცხავენ.

"ძალიან შეგვაშინეს და ჩემი უდანაშაულო შვილი წაიყვანეს"

გიორგი გირკელიძე
გურია ნიუსი

პირველ დეკემბერს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ ლევან იზორიამ ბრიფინგი გამართა და სამსახურის მიერ წარმოებული ანტიტერორისტული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია გაავრცელა.

"სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტულ ცენტრში, დაქირავებულ შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობის ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 410 მუხლის მესამე ნაწილით. მიმდინარე გამოძიების პროცესში მოპოვებული ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, გამოიკვეთა რამდენიმე პირი, რომლებიც ემხრობიან ისლამური სახელმწიფოს იდეოლოგიას. გამოძიების ფარგლებში, 2015 წლის 18 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 11 საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შესახებ განჩინება გაიცა.

2015 წლის 29 ნოემბერს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრის მიერ წარმოებული საგამოძიებო ღონისძიებების საფუძველზე ყველა მითითებულ მისამართზე ჩხრეკა ჩატარდა. ჩხრეკის შედეგად, 4 პირის საცხოვრებელი სახლებიდან ამოიღეს იარაღი, ხელყუმბარები, საბრძოლო ვაზნები და ცილინდრული ფორმის ყუმბარები, ნოუთბუქები, ინფორმაციის მატარებელი ელექტრონული მოწყობილობები, CD და DVD დისკები, ისლამური სახელმწიფოს დროშები, სიმ ბარათები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს და კონტრტერორისტული სამსახურის თანამშრომლებმა ოთხი პირი დააკავეს. მათ ბრალი წარედგინათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236 მუხლის მეორე ნაწილით.

საქმეზე გრძელდება შემდგომი გამოძიება ტერორისტულ ორგანიზაციებთან კავშირზე მყოფი სხვა პირების მხილებისა და მათ მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების მიზნით", _ ნათქვამია განცხადებაში.

"გურია ნიუსის" მიერ მოპოვებული ინფორმაციით, ოთხი დაკავებულიდან სამი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალში, სპეცოპერაციის შედეგად აიყვანეს.

დაბა ნასაკირალში გვითხრეს, რომ 29 ნოემბერს, გამთენიისას, უსაფრთხოების სამსახურის ანტიტერორისტული განყოფილების თანამშრომლებმა გია ბაღუტარაძის, მირიან ბერიძის და ჯამბულ აბდულაევის სახლებში ჩხრეკა ჩაატარეს და სამივე მათგანი დააკავეს.

მირიან ბერიძის ოჯახის წევრი ნებიე ბერიძე ამბობს, რომ მისი შვილიშვილი უდანაშაულოა, სპეცოპერაციის დროს ბინაში ჩადეს ხელყუმბარა და ისლამური სახელმწიფოს დროშა.

"იქნებ, ვინემ ამიხსნას, როგორ შეიძლება ხელყუმბარასთან ერთად დაიძინოს ადამიანმა? ჩემი შვილიშვილი ბათუმიდან წინა დღით ჩამოვიდა, ციტრუსის მოკრეფაში რომ დაგვხმარებოდა. საშინელი ამბავი დაგვემართა _ ყველა ერთ ოთახში შეგვყარეს. 60 შეიარაღებული პირი მაინც იქნებოდა ჩემს სახლთან. სამი თვის ბავშვი შეგვიშინეს", _ ამბობს ნებიე ბერიძე.

მირიან ბერიძის დედის, ნათელა ანთაძის თქმით, 29 ნოემბერს დიდი სპეცოპერაცია ჩატარდა: *"ჩემს სახლში უამრავი ნიღბიანები იყვნენ. წაღებულია ჩემი შვილის კომპიუტერი, დისკი, საღვთო წიგნები, ასევე, ჩემი დედამთილის, არაბულ ენაზე დაწერილი რვეულები და ჩემი შვილის დღიურები, სადაც ლოცვები ეწერა. არ მეგონა, თურწმენის გამო ამხელა პრობლემები შეექმნებოდა ჩემს შვილს. ის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტია და კარგი ახალგაზრდაა. არ მინდა, რომ მომავალი დაენგრეს"*, _ ამბობს ნათელა ანთაძე.

კახი კალაძე და თემურ ჭკუასელი | ფოტო: ნატო გოგელია

დაბა ნასაკირალში ჯამბულ აბდულაევი სპეცოპერაციის დროს დააკავეს. ჩვენი ინფორმაციით, აბდულაევი დაკავებისთანავე თბილისში გადაიყვანეს.

_ მხოლოდ ის ვიცით, რომ ჯამბული დააკავეს. ჯამბული წესიერი და კეთილსინდისიერი ახალგაზრდაა. ძალიან გაგვიკვირდა, როდესაც გავიგეთ, მისი სახლიდან იარაღი ამოიღეს. მხოლოდ ხმაური გავიგონეთ დილით, მეტი არაფერი ვიცით, _ გვითხრეს დაბა ნასაკირალში ჯამბულ აბდულაევის მეზობლებმა.

აბდულაევის მშობლების თქმით, შეიარაღებული პირები 29 ნოემბერს, გამთენიისას, დაახლოებით, ოთხ საათზე შევარდნენ.

_ ძალიან შეგვაშინეს და ჩემი უდანაშაულო შვილი წაიყვანეს. კარგად ვიცი, რომ იარაღი ჩაუდეს. გუშინ დავასუფთავე კომოდი და როგორ აღმოჩნდა იქ დღეს იარაღი, იქნებ ამიხსნას ვინმემ? არავითარი კავშირი ISIS-ის წარმომადგენლებთან ჩემს ჯამბულს არ ჰქონია. ყველას ვთხოვ, რომ უდანაშაულო შვილი არ დამიჩაგრონ, _ თქვა ჩვენთან საუბრისას ჯამბულ აბდულაევის დედამ, მერი ანთაძემ.

_ მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, ჩემი შვილი მორწმუნეა, კითხულობს ყურანს, ლოცულობს, არ სვამს ღვინოს და არ ეწევა სიგარეტს. ძალიან მუშა ბიჭია და ახლა უნდათ, რომ ტერორისტი გახადონ. ერთი შვილი ავარიაში მომიკვდა და ახლა კი ჩემს ჯამბულს მიღუპავენ! სამართალი არ არსებობს ამ ქვეყანაზე? _ ამბობს ჯამბულ აბდულაევის მამა, ზეინალ აბდულაევი.

"გურია ნიუსი" უსაფრთხოების სამსახურის პრესსამსახურს დაუკავშირდა და შეეცადა, გაეგო, შეესაბამება თუ არა ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაცია სიმართლეს.

"ვერაფერს გეტყვით დამატებით, ყველაფერი წერია ჩვენ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში", _ გვითხრეს პრესსამსახურში.

ყოფილი პატიმარი – რეჯეპ ტაიპ ერდოღანი

გიორგი გაჩეჩილაძე

რეჯეპ ტაიპ ერდოღანი, ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში, ბათუმიდან რიზეში გადასახლებული ლაზების ოჯახში დაიბადა, 1954 წლის 26 თებერვალს. მამამისი _ აჰმედ ერდოღანი საზღვაო დაცვაში მუშაობდა და მისი სამსახურის გამო, ოჯახი ხშირად იცვლიდა საცხოვრებელს. ბავშვობის პერიოდი რეჯეფმა ისტამბულის, ქაშიმფაშას უბანში გაატარა, სადაც ქუჩაში ლიმონათსა და ფუნთუშებს ყიდდა, რათა დამატებითი შემოსავალი ჰქონოდა. ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის დროს, თანაკლასელებისგან თავისი რელიგიურობით გამოირჩეოდა, რის გამო მეტსახელიც კი შეარქვეს _ ჰოჯა.

16 წელი რეჯეპ ტაიპ ერდოღანი დაკავებული იყო პროფესიული ფეხბურთით. 1969 წელს ის 1000 ლირად სამოყვარულო გუნდ "ქამიალთიდან" "ქაშიმფაშასპორში" გადავიდა, სადაც ნახევრად პროფესიონალ ფეხბურთელად ჩამოყალიბდა. ამ ყველაფერს რეჯეპი მამისგან მალულად აკეთებდა, რადგან ის ფეხბურთისა და საერთოდ სპორტის წინააღმდეგი იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ კლუბის სტადიონი, სადაც ერთ დროს ერდოღანი ბურთს აგორებდა, დღეს რეჯეპ ტაიპ ერდოღანის სახელს ატარებს.

1990-იან წლებში რეჯეპ ტაიპ ერდოღანი სტამბულის მერი იყო და მისი მერობის პერიოდში რამდენიმე საინტერესო კანონს მოეწერა ხელი. კერძოდ, სახელმწიფო დაწესებულებებში აიკრძალა ალკოჰოლის მოხმარება. ქალბატონებს საშუალება მიეცათ, ეტარებინათ ადრე აკრძალული რელიგიური თავსაბურავები. ასევე, მისი მერობის პერიოდს უკავშირდება ქუჩაში ქალების საცურაო კოსტიუმების, კერძოდ, ბიკინის რეკლამირების აკრძალვა. აგრეთვე, მის მიერ ინიცირებული კანონია, რომლის თანახმად, ცოლ-ქმრული ღალატის დამტკიცების შემთხვევაში, დამნაშავე ცოლს ან ქმარს პატიმრობა უნდა მიესაჯოს.

1997 წელს პროვინცია სიირტში გამართულ მიტინგზე ერდოღანმა ისლამისტური ლექსი წაიკითხა და ამ ფაქტის გამო, ის ძებნილად გამოცხადდა. დაკავების შემდეგ, მას ათთვიანი პატიმრობა შეუფარდეს. აღსანიშნავია, რომ ის ლექსი, რომელიც ერდოღანმა წაიკითხა, სულაც არ იყო აკრძალული და პირიქით, ის თურქეთის განათლების სამინისტროს მიერ, სასკოლო პროგრამაშიც კი იყო შესული. მაგრამ, იმ პერიოდში ერდოღანი ოპოზიციაში იყო და მისი პარტიის საქმიანობა აკრძალული გახლდათ. მისჯილი ათი თვიდან, ერდოღანმა ციხეში _ ოთხი გაატარა. საინტერესოა, რომ 2002 წელს ერდოღანმა ახალი პარტია დააფუძნა, რომელმაც არჩევნებში გაიმარჯვა, მაგრამ რადგან ნასამართლევი იყო, არ ჰქონდა უფლება, პარლამენტში შესულიყო ან პრემიერ-მინისტრი გამხდარიყო. მოგვიანებით, თურქმა პარლამენტარებმა მიიღეს გადაწყვეტილება და ერდოღანის ნასამართლეობა ბათილად სცნეს.

"ჩემი მიზანია, თურქეთს დიდი ოსმალეთის იმპერიის დიდება დავუბრუნო", – ეს ფრაზა წარმოთქვა რეჯეპ ერდოღანმა პრემიერ-მინისტრად დამტკიცების შემდეგ. აღსანიშნავია, რომ ამ ფრაზის შემდეგ, თურქულ სკოლებში გეოგრაფიის ახალი სახელმძღვანელოების პარტია შევიდა, სადაც თურქეთის სრულიად ახალი რუკა დაიბეჭდა. კერძოდ, თურქეთის შემადგენლობაში იყო შეყვანილი საქართველოს აჭარა, აზერბაიჯანის ნახიჩევანი და ორი ერაყული ქალაქი – მოსული და კირკუკი. საინტერესოა, რომ რუკაზე არ იყო დატანილი თურქმენული და უიგურული ტერიტორიები, რომლებიც ადრე შედიოდა ოსმალეთის იმპერიაში.

2006 წლის 17 ოქტომბერს რეჯეპ ერდოღანს მცირე ჰოპოკლემიური შეტევა მოუვიდა ავტომობილში, რაც გადაღლილობამ და რამადანის დღეასასწაულთან დაკავშირებით დაცულმა მძიმე მარხვამ გამოიწვია. პრემიერ-მინისტრი სასწრაფოდ ჰოსპიტალიზებულ იქნა. მაგრამ, ექიმებმა განაცხადეს, რომ პრემიერს დასვენება ესაჭიროებოდა და ჰოსპიტლიდან გაწერეს. ამ ისტორიაში კი ის იყო საინტერესო, თუ როგორ მიიყვანეს ერდოღანი საავადმყოფოში. როდესაც პრემიერს შეტევა დაეწყო, მან გონება დაკარგა. იმ დროისთვის ავტომობილში მხოლოდ მძღოლი იმყოფებოდა. მან გადაწყვიტა, პრემიერის დახმარება, მაგრამ მანქანიდან გადმოსულს გასაღები შიგნით დარჩა, რამაც ავტომობილის კარების ბლოკირება გამოიწვია და გონებადაკარგული პრემიერ-მინისტრი მარტო დარჩა ავტომობილში. საბოლოოდ, დაცვის წევრებმა ახლო მდებარე მშენებლობიდან დიდი ურო მოიტანეს, შუშა ჩაამტვრიეს და სასწრაფოს დახმარებით პრემიერი ჰოსპიტალში გადაიყვანეს.

რამდენიმე წლის წინ ნიუ-იორკში მიმდინარე დიდი ოცეულის სამიტზე, რომელშიც მსოფლიოს თითქმის ყველა ლიდერი იღებდა მონაწილეობას, საკმაოდ სკანდალური ფაქტი დაფიქსირდა. ერთ-ერთი სხდომის დაწყებამდე, ხელჩართული ჩხუბი გაიმართა ბარაკ ობამას და რეჯეპ ერდოღანის პირადი დაცვის წევრებს შორის. ოფიციალურად გაცხადდა, რომ პირადი მცველები უშიშროების საკითხებში ვერ შეთანხმდნენ, ხოლო თვითმხილველების თქმით, ამერიკელმა "სექიურიტებმა" შეურაცხყოფა მიაყენეს თურქ კოლეგებს და მათი დაცვის ქვეშ მყოფ ერდოღანს, რაც ჩხუბის მიზეზად იქცა. იგივე თვითმხილველების მტკიცებით, ჩხუბში უშუალოდ იყო ჩართული რეჯეპ ერდოღანი და ამერიკელი „სექიურიტებისგან" მას გვარიანი მუშტიც კი მოხვდა. აღსანიშნავია, რომ ჩხუბის გამო, რეჯეპ ერდოღანმა პროტესტის ნიშნად დატოვა სამიტი და სამშობლოში დაბრუნდა.

რეჯეპ ტაიპ ერდოღანსა და მის მეუღლეს, ემინე გიულბარანს ოთხი შვილი ჰყავთ: ორი ვაჟი – აჰმეთ ბურაკი და ნეჯმედინ ბილალი და ორი ქალიშვილი _ ესრა და სუმეიე.

უფასო განცხადებები

იყიდება

ჩოხატაურში, გუთური-ჩაისუბნის საზღვართან, 2-სართულიანი ქვის სახლი, ბუნებრივი აირით.
ტელ: (595) 612975, (593) 374036.

ჩოხატაურში, გუთური-ჩაისუბნის საზღვართან, 2-სართულიანი ქვის სახლი, ბუნებრივი აირით.
ტელ: (595) 612975, (593) 374036.

ავტომანქანა "ფორდ ტრანზიტი“ და ავტომანქანა "უაზი“.
ტელ: (577) 782882.

ავტომანქანა "mersedes benci-E 124" (ე.წ. "ეშკა"), იაპონიიდან ჩამოყვანილი, ქარხნული, მარცხენა საჭით, ორიგინალი, 108 000 კმ. გარბენით. ფასი შეთანხმებით.
ტელ: (598) 108118.

ავტომანქანა "ოპელ ექსტრა" სედანი, ძრავა 1.6, ბენზინზე, 1998 წლის გამოშვება. კარგ მდგომარეობაში.
ტელ: (551) 175338, დოდო.

სასწრაფოდ, ავტომანქანა "აუდი 100".
ტელ: (558) 447300.

ავტომანქანა "ოპელ ასტრა", ფურგუნი, 1996 წლის გამოშვება, კარგ მდგომარეობაში, ელექტრო შუშებით, კონდიციონერით, ABS, ჰიდრავლიკა, 1.6-იანი ძრავით.
ტელ: (598) 808908, გიორგი.

ავტომანქანა "მერსედეს 190", მუშა მდგომარეობაში, გაზზე.
ფასი 1200 ლარი.
ტელ: (599) 020728.

ავტომანქანა "ფორდტრანზიტი", კარგ მდგომარეობაში.
ტელ: (551) 174044.

ფუტკრის ოჯახები.
ტელ: (593) 112008.

12 ოჯახი ფუტკარი.
ტელ: (551) 328714.

ღვინო "ცოლიკაური", უმაღლესი ხარისხის.
ტელ: (555) 553737, (790) 553707.

მამალი ცხენი, 5 წლის, დაწმენდილი. ფასი შეთანხმებით.
ტელ: (551) 175338, დოდო.

16-22 კგ-იანი ბურვაკები.
ტელ: (593) 356757.

80 კგ-იანი ღორები.
ტელ: (595) 752729.

დასაკლავად, ძროხა და მოზვერი 3 წლის, კარგი შეხორცებით.
ჩოხატაური, სოფ. წიფნარი.
ტელ: (790) 482219.

კივის ნერგები. ტელ: (558) 976064.

ჩოხატაურის რაიონში, წლინახევრის ძაღლი "ავჩარკა" ან გაიცემა.
ტელ: (595) 306106.

კარგი ჯიშის მაკე დეკნა და 10 კგ-იანი გოჭები. ჩოხატაური, სოფ. გორა.
ტელ: (551) 098086.

150 კგ. წონის საჯიშე მოზვერი, 8 თვის. ტელ: (577) 927738.

თებერვლის თვეში ხბომოსაგები ფური, 3 წლის, პირველი ხბოობა, კარგი ჯიშის. ჩოხატაური, სოფ. ვანზომლეთი.
ტელ: (555) 553737, (790) 553707.

1 წლის მოზვერი, 200 კგ-მდე წონის. ფასი 900 ლარი. ტელ: (595) 331102.

ქირავდება!

ჩოხატაურში, ცენტრალურ ადგილზე, 9 აპრილის ქუჩაზე, საცხოვრებელი სახლის ნაწილი.
ტელ: (593) 715174.

ჩოხატაურში, ბაზართან, სახლის პირველ სართულზე, 4-ოთახიანი ბინა, გაზით, წყლით, სახლის წინ პატარა ეზოთი, ხეხილით გაშენებული, ქით.
ტელ: (595) 850388, (577) 285209.

ჩოხატაურის ცენტრში, სასაწყობე ფართი. ტელ: (577) 957903.

შევიძენ!

საბუხრე ჯირკებს, ხმელ მდგომარეობაში.
ტელ: (595) 858315.

ან იჯარით ავიღებ 10 ჰექტარამდე მიწის ფართობს.
ტელ: (593) 116012, (557) 246902.

ტ-სებრ 4 ან 4,5 მ-იანი შველერებს.
ტელ: (593) 100945, (599) 436326.

ყურადღება

იცვლება ორი მაკე ღორი 70 და 65 კგ-იანები, საკალანდო ღორზე.
ჩოხატაური, ტელ; (555) 586962, (574) 104469.

უფასო განცხადების ტალონი №96

ტელეფონი: ---

მხოლოდ ჩვენთან. "გურია ნიუსის" ჩოხატაურის ოფისში.
ბანერების, სტიკერების. ბუკლეტების. ჟურნალების, აფიშების. მოსაწვევების. სავიზიტო ბარათების და სხვა მრავალი პოლიგრაფიული ნაწარმის ბეჭდვა იაპონური ხარისხით!

დაივიწყეთ დაბალი ხარისხის პროდუქცია და იგივე ფასში დაბეჭდეთ ჩვენთან!

მისამართი: ჩოხატაური, დუმბაძის 25
ტელეფონი: 551373636; 577625007

მირცა ლომთათიძე-სალია

ტკივილიანი ერთი წელი გავიდა. მოვიდა 5 დეკემბერი, საზარელი სიკვდილის შემომტანი შენს ეზოში. უკვდავი არავინაა, მაგრამ მაშინ შენი მოულოდნელი წასვლა თავზარდამცემი იყო ჩემთვის. მამაჩემის შემდეგ, შენი თხოვნით, დროის უდიდეს ნაწილს შენთან ვატარებდი, თუმცა, საკუთარი ოჯახი მქონდა. ბოლო ხუთი დღე დაგტოვე, შვილის გამოსაკვლევად წასულმა, ერთ კვირაში დაბრუნების და დიდხანს დარჩენის იმედით, მაგრამ "კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდა". უსაზღვროდ გვიყვარდა ერთმანეთი, ერთად ვიზიარებდით გასაჭირს. ხუთი წელი ნატრობდი სიცოცხლეს, ყოველდღე ღმერთს ვევედრებოდი ჩემთვის დაეკლო და შენთვის დაემატებინა ხუთი წელი. უბედნიერესად ჩავთვლიდი თავს თუ ასე მოხდებოდა. დავარდნილი მეუღლის თავდადებით მოვლის ორმა უმძიმესმა წელმა შეგირყია ჯანმრთელობა, წუხდი იმაზეც, რომ შენი თბილი ხელი დამაკლდა. იყავი სანიმუშო შვილი, დედა, მეუღლე, და, ბებია, რძალი, დედამთილი, მული, ძმის ცოლი გიფიცებდა. უაღრესად მშრომელი, სტუმართმოყვარე, მორწმუნე და უკეთილშობილესი ადამიანი, ღმერთმა უწვალებლად ამიტომაც გაგიყვანა წუთისოფლიდან. უდიდესი ამაგი გქონდა ჩემს შვილზეც. უფალს ვთხოვ, ჩემმა ანთებულმა სანთელმა გაგინათოს გზა სასუფევლისკენ. იძინე შენს ღირსეულ მეუღლესთან ერთად მარადისობაში და ილოცეთ, რომ ყველა, თქვენი დანატოვარი კარგად იყოს.

შენი მერიკო

ჯონდო სიხარულიძის გახსენება

ვაი, რა მალე გავიდა 40 დღე, ჩემო მამიკო. იყავი კარგი მეუღლე, მამა, მამამთილი, ბაბუა. ვამაყობ, რომ შენ ჩემი მამა იყავი და მე შენი შვილი. იყავი მშრომელი, მართალი, პრინციპული, რაც გაგყვა შენი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე. ჩვენ ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობთ, თუ რა დიდი სიყვარული დაგიმსახურებია. შენი კარგი კაცობა მე და ჩემს ოჯახს მუდამ წინ დაგვხვდება. იცოდე, შენი სახელი გაგრძელდება შენს ოჯახში. გვიყვარხარ, გვენატრები. ნათელში ყოფილიყოს შენი სული.

თამაზ ყაჭეიშვილი, მანანა და ნინო მაისურაძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ ედიშერ, ალიკა, ლელა ყაჭეიშვილებს მამის

გიგა ყაჭეიშვილის

გარდაცვალების გამო.

ოთარ ანთიძის ოჯახი თანაუგრძნობს მერი ცხოიძის ოჯახს დის

ზინას

გარდაცვალების გამო.

ბორია ყაჭეიშვილის ოჯახი, იაშა თევზაძის, მარგო სიხარულიძის ოჯახები თანაუგრძნობენ ალექსანდრე ყაჭეიშვილის ოჯახს

გიგა ყაჭეიშვილის

გარდაცვალების გამო.

ვანო ჯიბუტი

3 დეკემბერი შენი დაბადების დღეა, ჩემო ძამიკო. შენ კი ძალიან შორს ხარ, მიუწვდომელი... სიცოცხლით სავსე, ხალისიანი ცხოვრება გლოვის ზარმა შეცვალა. გულში ტკივილმა დაიდო ბინა. ფრთხილად ვეფერები სურათზე შენს სანდომიან სახეს, თურმე, რა ბედნიერი ვყოფილვართ... ახლა კი მოვალთ შენს საფლავთან და ჩამოგძახებთ, დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო კაკია!

ქეთინო

მეგობრები ლამარა, ციალა, ნაზიკო თანაუგრძნობენ მერი კოტრიკაძეს დის

ზინას

გარდაცვალების გამო.

გურამ (ბაჩუკი) ჯიბლაძე ოჯახით იუწყება კაცური, ვაჟკაცური, თანამდებობაზე ნამუშევარი კაცის

გიგა ყაჭეიშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს, ახლობლებს.

ნონა დოლიძე და გია სიხარულიძე თანაუგრძნობენ თალიკო სიხარულიძეს დის

ცაცია სალუქვაძის

გარდაცვალების გამო.

შვილები მარინა, ზურაბ ხუხუნაიშვილები, სიძე ჰაიდარ კილაძე, რძალი ნატო ჯინჭარაძე, და გუგული დოლიძე, შვილიშვილები, შვილთაშვილები, დისშვილები, ძმისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

შურა მოსეს ასული დოლიძე-ხუხუნაიშვილი.

დაკრძალვა: შაბათს, 5 XII.
ჩოხატაური, სოფელი ზომლეთი.

შვილები ტარიელი, იაშა, ლიანა, ნელი, რძლები ლიანა რამიშვილი, ნინო წულაძე, ლეილა ანთიძე, ლიანა მინდაძე, სიძე მალხაზ კეკელიძე, შვილიშვილები იური, ირაკლი, შოთა, გიორგი, ნოდარი, მარიანა, აკაკი, დავითი, დიანა, დები ჟენია, მარია, შვილთაშვილები, დისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ეკატერინე (კატო) იაკოვენკო-მამალაძე.

პანაშვიდი: 4 XII.
დაკრძალვა: 5 XII.
ჩოხატაური, სოფელი გორა.

კუკური კუტუბიძის ოჯახი თანაუგრძნობს მერი კოტრიკაძის ოჯახს დის

ზინას

გარდაცვალების გამო.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი თანაუგრძნობს მარიამ სიხარულიძეს დეიდის გარდაცვალების გამო.

და თალიკო სალუქვაძე, დისშვილები რევაზ, მარიამ სიხარულიძეები, რძალი თამარ ხუციშვილი, სიძე ემზარ დოლიძე, დისშვილიშვილი ლუკა სიხარულიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლამარა (ცაცია) სალუქვაძე.

დაკრძალვა: 3 XII, 15 საათზე.
ოზურგეთი, სოფელი ძიმითი.

იზო იაშვილი, ავთანდილ, თემურ, ბორია, ვახტანგ ყაჭეიშვილები იუწყებიან

გიგლა ყაჭეიშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

შპს გზამშენი 18-ის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან საავტომობილო გზების დეპარტამენტის ტექნიკური ზედამხედველობისა და მონიტორინგის სამმართველოს მთავარ სპეციალისტის

იაშა მჭავანაძის

გარდცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს

მწუხარებაში მყოფი და მერი, დისშვილები ნანა, ილო ცხოიძეები ოჯახებით, მწუხარებით იუწყებიან

ზინა ილიას ასული კოტრიკაძის

გარდაცვალებას.

განცხადებები

ყურადღება!

ჩოხატაურში, #1 საჯარო სკოლაში გაიხსნა განათლების, კულტურისა და ხელოვნების საერთაშორისო აკადემიის ფილიალი, სადაც ყველა მსურველს შეუძლია ინგლისური ენის შესწავლა ბრიტანეთში აკრედიტირებულ პედაგოგებთან.

სწავლა დაწყებულია.

მიღების დღეები: სამშაბათი-პარასკევი, 2-დან 4-საათამდე.
ტელ: (591) 688577, (557) 474773, (790) 743377.
Site: www.evpatori.ge
Mail: info@evpatori.ge

ყურადღება!

დამკრძალავი ბიურო გთავაზობთ მომსახურებას:
მაცივარი და მიცვალებულის ჩაცმა 60 ლარიდან, გამზადებული სასახლეები _ 180 ლარიდან, სუდარა, საფლავის ამოღება, კატაფალკა, ეკვდერის დამზადება, მარმარილოს ქვები. სრული სერვისის შემთხვევაში _ სუდარა უფასოდ.
ჩოხატაური, ბეჟან ხაბეიშვილი.

(599) 903501, (579) 231023,

ყურადღება!

დამკრძალავი ბიურო მოგემსახურებათ სრული სერვისით: მაცივარი და მიცვალებულის ჩაცმა _ 80 ლარი. საფლავის გამზადება. სასახლე _180 ლარიდან. საჭიროების შემთხვევაში ქირურგიული ჩარევა, ტრანსპორტირება.
ჩოხატაური. ამირან ჭეიშვილი.

(593) 531391, (599) 784506.

ყურადღება!

ჩოხატაურში, სოფელ შუა ამაღლებაში, საოჯახო ფერმერულ მეურნეობას ესაჭიროება ახალგაზრდა, პასუხისმგებლიანი, შრომისმოყვარე, მოწესრიგებული ოჯახი, რომელსაც კარგად ეცოდინება ხეხილის და საქონლის მოვლა-პატრონობა. გთავაზობთ საუკეთესო საცხოვრებელ პირობებს და ანაზღაურებას.

ტელ: (555) 982277.

უფასო განცხადებები

იყიდება

შეშა. ტელ: (577) 725854.

3-ლიტრიანი მინის ქილები ძველებური, სხვადასხვა ზომის მეორადი მინები, ხის კარი, ორფრთიანი, ჩარჩოს გარეშე. 3 ცალი კარი გასაშალის (მეორადი) კარგ მდგომარეობაში. ხის ფანჯარა.
ტელ: (574) 086078.

კაკლის ხის, გასაშლელი მაგიდა, 15-ადგილიანი. გერმანული ხალიჩა 2/3-ზე. წიგნის თარო 2 ცალი დასაშლელი გარაჟი თუნუქის სახურავით, რკინის კარით. ტელ: (599) 202521.

პიანინო "საქართველო", კარგ მდგომარეობაში. ტელ: (595) 536794.

შეშის ღუმელი, მეორადი, კარგ მდგომარეობაში (კანადური), ფასი შეთანხმებით. ტელ: (551) 121139.

"ზიმფერის" ფირმის ელექტროღუმელი. ტელ: (595) 185715.

2 კბმ. წაბლის ხის, დახერხილი, ხმელი მასალა, სხვადასხვა ზომის.
ტელ: (568) 880511, გურამი.

2 ცალი, 400-ლიტრიანი მუხის კასრი. უჟანგი მასალისგან დამზადებული სამი 300-ლიტრიანი, 2 ცალი ტონიანი კასრები და საწნახელი. ღვინო "ცოლიკაური", ჭაჭის არაყი. ნაძვის ხმელი მასალა, იატაკის და ჭერის, 6 კბმ. იაპონური წარმოების, ფაზანოლიანი, 1 კვტ-იანი გენერატორი, ახალი. არმატურა 100 მ. 28-იანი, 100 მ. 25-იანი და 50 მ. 32-იანი მილები. ტელ: (551) 328714.

6 ცალი კარი, ოთახის ტიხარისთვის, თავისი თაღებით და საყრდენებით, გალაქული, კარგ მდგომარეობაში.
ფასი შეთანხმებით.
ტელ: (599) 179929, (790) 564857.

კედელი ("სტენკა"), მეორადი. საუკეთესო მდგომარეობაში. ტელ: (551) 121139.

სასიმინდე და "კუხნა", გამოდგება ძროხი ბინად. კარგ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. ტელ: (551) 134236.

7 კვტ-იანი ძრავი. დენის ჩამრთავ-გამომრთველი, მრიცხველისთვის. ავტოფარეხის კარი.
ტელ: (551) 538605, (579) 080027.

ავტოფარეხი, 16 კვმ. რკინის ფირფიტებით გაკეთებული, გამოდგება "კუხნადაც". ტელ: (599) 198217.

80 ცალი აკაციის ბოძები, 40 ცალი, 2,5-4 მ-იანები. ფასი ერთი ცალი _ 3 ლარი. ოზურგეთი, სოფ. ნაგომარი.
ტელ: (790) 140897, (598) 572690.

რუსეთის არმატურა, 22-იანი, 186 ცალი, 2.5 მ-იანები. ტელ: (568) 809690.

2-ტონიანი ნავთის ავზი.
ტელ: (577) 926243.

წაბლის ხისგან დამზადებული ახალი ფანჯრები, 3 ცალი, 1,8/1,05-ზე.
ტელ: (577) 952021.

დასაშლელი რკინის სათბური, მილებით, "უგოლნიკებით". ტელ: (591) 258632.

2-სართულიანი სახლი, სველი წერტილებით, 6000 კვმ. მიწის ნაკვეთით, დამხმარე ნაგებობებით, ვენახით, თხილებით გაშენებული ეზოთი, მთის მუდმივი წყლით, ჭით. ჩოხატაური, სოფ. შუა ფარცხმა. ტელ: (599) 328153. ლილი.

ჩოხატაურის ცენტრში, 2-ოთახიანი, გარემონტებული ბინა, ბუნებრივი აირით, წყლით,სარდაფით (სურვილის შემთხვევაში, ავეჯით და საყოფაცხოვრებო ტექნიკით). ტელ: (591) 002611, (591) 333867, (568) 449982.

ჩოხატაურში, სოფ. გოგოლესუბანში, 2-სართულიანი სახლი, 0.75 ჰა მიწის ნაკვეთით, თხილის და ხეხილის ბაღებით.
ტელ: (568) 612438.

ჩოხატაურის ცენტრში, დუმბაძის 21, კინოთეატრის გვერდით, 230 კვმ. მიწის ნაკვეთი. ტელ: (514) 415353.

ჩოხატაურში, სოფ. ხიდისთავში, 2-სართულიანი სახლი, დამხმარე ნაგებობებით, ჭით, ბუნებრივი აირით.
ტელ: (591) 706074.

ოზურგეთში, რუსთაველის 85-ში, ბელეტაჟი სახლი. ტელ: (598) 284418.

6 ჰა მიწის ნაკვეთი. 1 კვმ-3 ლარი.
ტელ: (599) 067400.

ჩოხატაურში, სოფ. გუთურში, სახლი დამხმარე ნაგებობებით, ბუნებრივი აირით, წყლით, გაშენებული ეზოთი, 3200 კვმ. სკოლასთან ახლოს.
ტელ: (597) 000603, (577) 148781.

2-სართულიანი სახლი, 10/10-ზე, 6000 კვმ. მიწის ნაკვეთი, 2000 კვმ. ტყით, მანდარინის, კივის, ფეიხოიას, ლიმონის, თხილის ბაღებით, ეზო რკინის მესერითაა შეღობილი. რკინის შველერი 6,4 მ. უჟანგი რკინის ავზი 120-ლიტრიანი. ჩოხატაური, სოფ. ჩაისუბანი (სოფლის ცენტრში), ტელ: (599) 141703, (599) 179979.

ჩოხატაურის ცენტრში, დასაშლელი, 2-სართულიანი წაბლის ხის სახლი.
ტელ: (595) 321454.

2-სართულიანი კაპიტალური სახლი, 1 ჰა მიწის ნაკვეთით, თხილებით, ვენახით გაშენებული ეზოთი, ბუნებრივი აირით. ჩოხატაური, სოფ. ახალშენი.
ტელ: (591) 287441.

40 კვმ. კომერციული ფართი, ჩოხატაურში საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიაზე. ტელ: (595) 948148.

რა ხდება ფოთის "კოლხეთში"

"ბიჭები სახლებშიც ვერ მიდიან, გზის ფული არ აქვთ"

30 ნოემბერს ფოთის მერიასთან საფეხბურთო კლუბ "კოლხეთის" მხარდასაჭერად აქცია გაიმართა. კლუბში არსებულ მძიმე ფინანსურ მდგომარეობაზე ფოთელთა სპორტული დირექტორი ლაშა ჯაკობია და "კოლხეთის ფეხბურთელები საუბრობენ.

ლაშა ჯაკობია: *"კოლხეთი" დაშლის პირასაა! ვერ გავიგე, ფოთში ფეხბურთი აღარ უნდათ?!*

ცხადია, ამ პერიოდში სიტუაცია არ გამოსწორებულა. "კოლხეთი" კვლავაც ყოფნა-არყოფნის ზღვარზეა.

"კოლხეთის" მოთამაშე გიორგი ლემონჯავა:

_ სანამ სეზონი დაიწყებოდა, ძალიან დიდი გაჭირვება იყო და დამიმედებელიც არაფერი ჩანდა. ფეხბურთელები სხვა გუნდებში წასვლას ვაპირებდით, მაგრამ გვითხრეს, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა და ხელფასების პრობლემა არ შეგვექმნებოდა...

არადა, ბოლო ხელფასი აგვისტოში ავიღეთ. მას მერე ერთი თეთრი არ აგვიღია. გვეუბნებოდნენ, რომ ყველაფერი მალე გამოსწორდებოდა, თუმცა აგერ, ნოემბრის ბოლოა და საიმედო კვლავ არაფერი ჩანს.

გვეუბნებოდნენ, რომ ბანკიდან სესხი უნდა აეღოთ, დავალიანება რომ გაესტუმრებინათ. ჩვენ კი ამის გვჯეროდა, ვარჯიშებსა და თამაშებში გულსა და სულს ვდებდით, გაჭირვების მიუხედავად, ფეხბურთელები და კლუბის ხელმძღვანელობა ერთად ვიდექით და ყველაფრის მიუხედავად, საქმეს კარგად ვაკეთებდით...

_ დავალიანების გასტუმრების იმედი გადაგეწურათ?

_ სესხის ამბავი 25 ნოემბერს უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ ახლა გვეუბნებიან, რომ სესხი არ გამოდის და ლოდინი ქალაქის ბიუჯეტის დამტკიცებამდე მოგვიწევს. პროფესიონალი ფეხბურთელები ვართ, ჩვენ სხვა შემოსავალი არ გვაქვს...

5 თვის განმავლობაში მოთამაშეს ხელფასს რომ არ მისცემ, მერე მას რა უნდა მოსთხოვო?! ჩამოსული ბიჭები სახლებში ვერ მიდიან, რადგან გზის ფული არ აქვთ. ალბათ, ახალ წელსაც ნახევარი გუნდი ფოთში, ბაზაზე დარჩება, სახლში საკუთარი ოფლით მოპოვებულ ფულს კი ვერ წაიღებენ...

საპორტო ქალაქში, რომელიც ქვეყნის საზღვაო კარიბჭეა, ამ მწირ თანხასაც რომ ვერ მოიძიებენ, წარმოგიდგენიათ, რა კატასტროფაა?!

_ კონკრეტულად რა მოთხოვნები წამოაყენეთ?

_ ყველას უნდა ვაჩვენოთ, რომ ცოტანი არ ვართ და რომ ფოთისთვის ფეხბურთი ძალიან ბევრს ნიშნავს. ჩვენ თუ არ ვიქნებით, უამრავი პერსპექტიული მოთამაშე დაიკარგება და ქვეყანა ფეხბურთის ამ სოლიდურ კერასაც დაკარგავს.

_ მერიისგან აქციას რა გამოხმაურება მოჰყვა?

_ მერი არ მოვიდა, დაკავებულიაო და მის ნაცვლად მერიის პრესსამსახურის უფროსი გამოცხადდა. 90 ათას ლარს დავრიცხავთ, ხელფასები რომ გავისტუმროთო. მაგრამ ჩვენ ორი თვის დავალიანების გასტუმრებას ვითხოვთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თამაშებზე აღარ გავალთ, თუმცა კი ვივარჯიშებთ.

ამას გარდა, ფეხბურთის ფედერაციას სარჩელით მივმართავთ და ვალის გასტუმრებას სპორტული არბიტრაჟის გზით მოვითხოვთ... ისე, სავარჯიშო მინდორიც არ გვაქვს და დახმარებას რაგბის კავშირს ვთხოვთ, რათა ხელოვნურ საფარზე გვავარჯიშონ. აი, ასეა ჩვენი საქმე... ბაზაზე ბიჭებს ტელევიზორი არ ჰქონდათ და ერთ-ერთი შეხვედრის მერე ქალაქის მერმა თავისი ტელევიზორი გვათხოვა...

სათქმელადაც კი არ არის ადვილი, რაც აქ ხდება. ყველაფერი საკუთარი თვალით უნდა იხილოთ და მიხვდებით, რა ცოდვაც ტრიალებს... დუბლები თამაშზე ვერ მიდიოდნენ და სამგზავრო მიკროავტობუსი ფეხბურთელის მშობელმა მოიყვანა. ასეთი გარემო ფეხბურთის თამაშის სურვილს გვიკლავს...

_ მერია დაფინანსებაზე თავს რატომ იკავებს?

_ ფეხბურთი ფუფუნების საგანია და არ შეგვიძლია თქვენთვის ამხელა თანხების გამოყოფაო...

_ იქნებ, მართლებიც არიან? იქნებ არ აქვთ ფული?

_ თქვენ გჯერათ, რომ ამხელა ქალაქში ერთი გუნდის შესანახი ფული არ მოინახა? რა, "ჩელსის" ბიუჯეტს ვითხოვთ? ლაპარაკია სულ რაღაც 800-900 ათას ლარზე, "კოლხეთმა" ნორმალურად რომ იარსებოს... მოკლედ, მოვითხოვთ, რომ კუთვნილი ხელფასები დაგვირიგონ. ახალ წელს მშივრები ვერ შევხვდებით. ან რა ვუთხრათ ოჯახებს? რომ მთელი წელი ტყუილად ვიწვალეთ და ვიშრომეთო?!

_ ამ ვითარებაში, გასაკვირიც კია, მოედანზე ერთ ტაიმს მაინც რომ ძლებთ...

_ ეს ყველაფერი ფეხბურთელებზე ძალიან მოქმედებს. არავინ გვაქცევს ყურადღებას. სანამ არჩევნები ჩატარდებოდა, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატები დახმარებას დაგვპირდნენ, გვერდში დაგიდგებით, ასე არ შეიძლებაო... ჯერჯერობით, ვერ გვეხმარებიან, მაგრამ იმედია, ისინი მაინც გააკეთებენ ყველაფერს, უძველესი ქართული გუნდი რომ არ დაიშალოს.

sportall.ge

ლევან კობიაშვილი: მემორანდუმს გავაფორმებთ

როგორც **ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა** მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის მედიაცენტრში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, აღნიშნული სამსახური გარიგებული მატჩების აღმოსაფხვრელად იმუშავებს.

როგორც კობიაშვილმა აღნიშნა, ფედერაცია მემორანდუმებს გაფორმებს საქართველოს შს სამინისტროსთან და პროკურატურასთან. აღნიშნული სამართალდამცავი უწყებები მემორანდუმის გაფორმების შემდეგ აქტიურად ითანამშრომლებენ.

ფედერაციის პრეზიდენტის თქმით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია 24 საათის განმავლობაში მუშაობს, რომ ასეთი ფაქტები არ მოხდეს.

"ვერ გაიგო ხალხმა, რა შეიცვალა ფეხბურთში. მომავალშიც 24 საათი ვიმუშავებთ ფეხბურთის განვითარებისთვის. მსგავსი ადამიანები კი ასეთი ქმედებებით წყალში ყრიან ჩვენს მუშაობას. ყველა ჩვენი რესურსით შევებრძოლებით გარიგებულ მატჩებს. იქმნება სპორტული სამართლიანობის ცენტრი, რომელიც ასეთ საკითხებზე იმუშავებს; ასევე, მემორანდუმს გავაფორმებთ პროკურატურასთან და შს სამინისტროსთან", _ განაცხადა კობიაშვილმა.

მისივე თქმით, მატჩების გარიგებები აქტიურად ხდებოდა გასული წლების განმავლობაში, თუმცა, ეს უნდა შეიცვალოს.

რაც შეეხება ბოლო ინციდენტს, რომელიც ხობის "კოლხეთსა" და ცხინვალის "ლიახვის" მატჩზე დაფიქსირდა, კობიაშვილმა "ლიახვის" ფეხბურთელს, რომელთანაც მატჩის გარიგების მიზნით ზარი გახორციელდა, მადლობა გადაუხადა.

"მადლობას ვუხდი ამ ფეხბურთელს. მის სახელსა და გვარს ვერ დავასახელებ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე. მას დაურეკა ერთ-ერთმა პირმა და ფულის სანაცვლოდ შესთავაზა მატჩის გარიგება, თუმცა ამ ფეხბურთელმა ეს ფაქტი არ დამალა და ამისთვის მე მადლობას ვუხდი მას", _ განაცხადა კობიაშვილმა.

sportall.ge

მილოცვები

ღმრთისგან ნაჩუქარს, ჭკვიანს, ნიჭიერს, ლამაზს, კოხტა
ლუკა ყარაჯაშვილს!

დიდი სიყვარულით ვულოცავთ დაბადების დღეს, 3 დეკემბერს. ჩვენო ლუკა, ყოველი შენი ნაბიჯი ყოფილიყოს იღბლიანი და ბედნიერი. ყველა კეთილის მსურველის გულის გამხარებელი.

დალი ბებო,
დედა ლიზი, ნიკა

ჩემს საყვარელ
ლუკა ყარაჯაშვილს!

ვულოცავ დაბადების დღეს _ 3 დეკემბერს. გაიზარდე ჭკვიანი და სასახელო ბიჭი.

ნანი ქანთარია, ბებო

დიდი წმენდა ლანჩხუთში

"გურიამ" 10 ფეხბურთელს კონტრაქტის გაწყვეტა შესთავაზა

შაბათს, ლანჩხუთის "გურია" ზედიზედ მეოთხედ დამარცხდა (შინ თბილისის "დინამოსთან", 0:2), 9 ქულით მე-14 ადგილზე დარჩა და ბოლოადგილოსან "ზუგდიდს" მხოლოდ 3 ქულით უსწრებს. 10 ოქტომბრის შემდეგ 7 ტური გავიდა და გურულებს ერთი თამაშიც არ მოუგიათ.

მატჩის შემდეგ "ლელომ" გაარკვია, რომ "გურიის" ხელმძღვანელობა, ლამის, მთელი შემადგენლობის დათხოვნასა და მეორე წრისთვის ახალი მოთამაშეების მიყვანას აპირებდა. ინფორმაცია ლანჩხუთის გამგებელმა და "გურიის" პრეზიდენტმა ზაზა ურუშაძემ დაგვიდასტურა:

"გუნდს მოსამზადებლად ყველანაირ პირობას ვუქმნით, რისი მსგავსიც კი "გურიას" ბოლო 20 წელიწადში არც დასიზმრებია, მაგრამ შედეგი არ ჩანს.

სამწუხაროდ, სეზონის დასაწყისში მწვრთნელთა შტაბის შერჩევისას შევცდით, მათ კი ისეთი ფეხბურთელები მოიყვანეს, რომელთა ნაწილიც უმაღლესი ლიგის მოთხოვნებს სრულად ვერ აკმაყოფილებს. ამიტომ რადიკალური ნაბიჯების გადადგმა გადავწყვიტეთ და "დინამოსთან" მატჩამდე ფეხბურთელებს ვუთხარით, რომ ეს მათთვის გადამწყვეტი თამაში იქნებოდა...

სამწუხაროდ, ისევ წავაგეთ და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ბევრ მათგანთან დამშვიდობება მოგვიწევს.

მინდა, ბოდიში მოვუხადო ლანჩხუთელებს, გუნდმა მათი იმედები რომ ვერ გაამართლა".

მატჩის შემდეგ გვითხრეს, რომ "გურიის" ხელმძღვანელობამ კონტრაქტის ორმხრივი შეთანხმებით გაწყვეტა 10 ფეხბურთელს შესთავაზა _ მეკარე ნიკა დაუშვილს, აგრეთვე: ლაშა მჭედლიშვილს, კოტე ხიზანეიშვილს, ლევან ქურდაძეს, თორნიკე მოსიაშვილს, სანდრო რეხვიაშვილს, ლუკა კობერიძეს, ნიკა მაისურაძეს, შოთა ჯიქიასა და ბექა ზაქრაძეს.

მაგრამ ფეხბურთელები უხელფასოდ დარჩენას არ დათანხმდნენ და, საბოლოოდ, შეთანხმდნენ, რომ "გურიას" პირველი წრის დარჩენილ ორ ტურშიც დაეხმარებიან, ურთიერთობას კი ამის შემდეგ გაარკვევენ.

შევიტყვეთ ისიც, რომ მანამდე "გურიასთან" კონტრაქტები განყვიტეს ლაშა ჩაფიძემ და კოტე დივუარელმა თავდამსხმელმა ბოტი გოა დემელმა.

sportall.ge

ამინდის პროგნოზი გურიაში



ვალუტის კურსი

USD	2.4052
EUR	2.5437
GBP	3.6129
RUB	0.6301

ზუგდიდის ახალგაზრდული გაზეთი

№ 39

3 დეკემბერი, 2015 წელი

სანომრე ნიშნები სპეციალურად მოსწავლეებისთვის

ნათია დოლიძე

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით და ორგანიზებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს მხარდაჭერით, მომსახურების სააგენტოს რეგიონების მართვის სამმართველოს ბათუმის განყოფილებას ჩოხატაურის #1, სოფელ ამაღლების და სოფელ შუა ამაღლების საჯარო სკოლების მოსწავლეები ეწვივნენ. ვიზიტი გაცნობითი ხასიათის იყო და საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროექტის "მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულის პრევენციის პროგრამა საჯარო სკოლებისთვის" ფარგლებში გახორციელდა. მომსახურების სააგენტოს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომლებმა მოსწავლეებს სააგენტოს სერვისების და საგზაო ნიშნების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდეს. მოზარდებმა სააგენტოს შენობა დაათვალიერეს, მართვის მოწმობის თეორიული გამოცდის ახალ, "3D" ბილეთებს გაეცვნენ და გამომცდელთან ერთად პრაქტიკული გამოცდის ელემენტები გაიარეს. მათ ასევე მიიღეს ინფორმაცია სახელმწიფო სანომრე ნიშნის დამზადების ტექნოლოგიების შესახებ. შეხვედრის დასასრულს, მოსწავლეებს სამახსოვრო საჩუქრები და მათი სკოლის ნომრის გამოსახულებიანი სანომრე ნიშანი გადაეცათ.

მხიარულთა და საზრიანთა კლუბების ჩემპიონატი დაიწყო

ნანა გურული

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატანებში მხიარულთა და საზრიანთა კლუბების შემოდგომა-ზამთრის ჩემპიონატის პირველი შეხვედრა გაიმართა. ერთმანეთს სოფელ მერიის საჯარო სკოლის გუნდი "ვფიქრობ", სოფელ ზემო ნატანების "შერეკილები" და ძიმითის საჯარო სკოლის მხიარულთა და საზრიანთა გუნდი "კათიონი" ეჯიბრებოდნენ. გამარჯვება ძიმითის გუნდმა მოიპოვა. ჩემპიონატში სულ 11 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. ფინალურ შეხვედრაზე, რომელიც ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში გაიმართება, მათგან მხოლოდ სამი საუკეთესო მოხვდება. ღონისძიების ორგანიზატორია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სოციალური დაცვის სამსახური და ა(ა)იპ "ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი". ჩემპიონატის მიზანი მოზარდთა და ახალგაზრდების გააქტიურება, მათი შემოქმედებითი ნიჭის წარმოჩენა, ჯანსაღი ცხოვრების დამკვიდრება და მხიარულთა და საზრიანთა თამაშების პოპულარიზაციაა.

ლანჩხუთში საქველმოქმედო კონცერტი ჩატარდება

(21-ს ქვევით) _ საპროდიუსერო კომპანია "ჯადოსნური ხმები" ინტერნეტ-ტელეკომპანია "ვარსკვლავების", STARS.GE-ს, შონი TV-ს მხარდაჭერით გიწვევთ საქველმოქმედო კონცერტზე მძიმე სენით და ლეიკემიით დაავადებული ბავშვების დასახმარებლად.

კონცერტში, რომელშიც ნუგზარ ერგემლიძე, ნუგზარ კვაშალი, ბესო კალანდაძე, ზურაბ კობეშავიძე, მაკა ქაჯაია, ბიძინა მახaრაძე და ზურა დოიჯაშვილი მონაწილეობენ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში ტარდება.

კონცერტი 4 დეკeმბერს, 18 საათზე დაიწყება და ბილეთის ფასი 5 ლარი იქნება.

ფოტოსინთეზი 2016

კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN), გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან ერთად, აცხადებს სასკოლო კონკურსს "ფოტო სინთეზი" ნიკო კეცხოველის სახელობის 2016 წლის პრემიის მოსაპოვებლად.

კონკურსის თემაა "საქართველოს ფაუნა – ფოტოგრაფია vs ნადირობა"

საკონკურსო ფოტოზე აღბეჭდილი უნდა იყოს ფაუნის რომელიმე წარმომადგენელი, მასთან დაკავშირებული ცალკეული დეტალი/ასპექტი, ან მოიცავდეს ნებისმიერი სახის ინფორმაციას ფაუნასთან მიმართებაში. ფოტოებმა უნდა წარმოაჩინოს პოზიტიური ფაქტები და მოახდინოს მათი პოპულარიზაცია, ან გაზარდოს ინფორმირებულობა ნეგატიური ფაქტების შესახებ და გამოიწვიოს პროტესტი.

თქვენს ობიექტივში შეიძლება მოხვდეს მსხვილი ძუძუმწოვრების 30 სახეობა; წვრილი ძუძუმწოვრების 79 სახეობა; ფრინველების 30, ამფიბიების 12, ქვეწარმავლების 50 (მათ შორის, ხვლიკების 27) და უხერხემლოების (მწერები, კიბოსნაირები, ობობასნაირები და ა. შ.)

საკონკუროდ ასევე მიიღება ფოტოები, რომელზეც შეიძლება არ ჩანდნენ ველური ბუნების წარმომადგენლები, მაგრამ აღბეჭდილი იყოს მათი ნაკვალევი, საბინადრო ადგილი, ბრაკონიერობის, ვაჭრობისა და ექსპუატაციის ამსახველი კადრები. ფოტოს შეიძლება ჰქონდეს როგორც ესთეტიკური, ასევე სამეცნიერო და მტკიცებულებითი ღირებულება.

კონკურსში მონაწილეობისათვის დარეგისტრირდით ვებგვერდზე forestry.cenn.org; ატვირთეთ თქვენ მიერ გადაღებული ფოტო/ფოტოები აღნიშნულ ვებგვერდზე; დარეგისტრირებულ კონკურსანტს შეუძლია მაქსიმუმ 3 საკონკურსო ფოტოს ატვირთვა.

ფოტო ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს საკონკურსო თემატიკას და იყოს საავტორო;• ფოტოს გადაღების პროცესი არ უნდა უკავშირდებოდეს გარემოს ხელყოფას; საკონკურსო ფოტო არ უნდა იყოს დამუშავებული კომპიუტერული პროგრამების საშუალებით და არ უნდა ჰქონდეს დასმული ავტოგრაფი; საკონკურსო ფოტოს მინიმალური ტექნიკური პარამეტრები: 5 მეგაპიქსელი; 2592×1944.

ფოტოების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2016 წლის 10 იანვარი. საავტორო ფოტოკონკურსის გარდა, სკოლები ჩაერთვებიან სტენდების კონკურსში; ამისთვის: სასკოლო სტენდზე წარმოდგენილი უნდა იყოს, მინიმუმ, 10 ფოტო სტენდს გადაუღეთ ფოტო და გააგზავნეთ ელექტრონულ მისამართებზე: rezo.getiashvili@cenn.org; lado.basilidze@cenn.org; levan.sebskveradze@cenn.org.

გამოგზავნილ სტენდს დაურთეთ განმარტებები სტენდზე წარმოდგენილი ფოტოებისა და სტენდის მომზადების პროცესის შესახებ, მიუთითეთ რეგიონი, სკოლა და ტელეფონის ნომერი.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ვებ გვერდს: forestry.cenn.org

ესეების კონკურსი – "კონფლიქტები საქართველოში"

"ჰელსინკის სამოქალაქო ასამბლეის სომხური კომიტეტი" "კულტურულ ურთიერთობათა ცენტრ _ კავკასიური სახლთან" და "ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტთან" თანამშრომლობით აცხადებს ანალიტიკური ესეების კონკურსს თემაზე _ "კონფლიქტები საქართველოში". ესეების კონკურსი ცხადდება პროექტის _ ,,დიალოგის პროცესის გაძლიერება ახალგაზრდა პროფესიონალების ჩართულობით" ფარგლებში.

საკონკურსო თემები: საქართველოს გზა ევროპული ინტეგრაციისაკენ: კონფლიქტების მოგვარების ახალი შესაძლებლობები vs გამოწვევები (მაგ.: სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია, ევროკავშირის ერთიან ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაცია, და ა.შ); საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში და მათი გავლენა კონფლიქტების დარეგულირების დინამიკაზე; ინოვაციური მიდგომები ნდობის აღდგენის პროცესებში: საერთაშორისო გამოცდილება და ქართული რეალობა (მაგ.: თავისუფალი გადაადგილება, ეკოლოგიური თანამშრომლობა / გარემოს დაცვა, კულტურული მემკვიდრეობა და ა.შ)

საკონკურსო პირობები: ანალიტიკური ესეების კონკურსში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა აქვთ თემით დაინტერესებულ სხვადასხვა სფეროში მომუშავე ახალგაზრდა (40 წლამდე) პროფესიონალებს; ანალიტიკური ესე შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე. ნაშრომის მოცულობა წყაროების ჩათვლით არ უნდა აღემატებოდეს 1500 სიტყვას. ნაშრომის ბოლოს მითითებული უნდა იყოს ავტორის სახელი, გვარი, თანამდებობა/პოზიცია და საკონტაქტო ინფორმაცია; სტატია უნდა იყოს დაწერილი ექსკლუზიურად კონკურსის ფარგლებში.

პლაგიატის შემთხვევაში ნაშრომი არ განიხილება.

ესეების მიღების ბოლო ვადაა 2015 წლის 18 დეკემბერი.

ნაშრომები შეგიძლიათ გააგზავნით შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: submit.dialogue@gmail.com

შეკითხვებისა და დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 555 525 959.

№16 ახალგაზრდებო, აღმოაჩინეთ თავისუფალი საინფორმაციო სივრცე და შემოგვიერთდით!

ჯადოქარ ფინ ლხვასა მოუყევი ამ ანიმაციის შესახებ

ყველა ქვეყანა, რომელიც დემოკრატიულ ფასეულობებს აღიარებს, აცნობიერებს, რომ ახალგაზრდული პოლიტიკა, ახალგაზრდeბის აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბება, ყველაზე მნიშვნელოვანი ინვესტიციაა და ქვეყნის სამომავლო პერსპექტივებს უკავშირდება.

სოციალურად საკმაოდ რთულ ვითარებაში მყოფ ქვეყანაში, სადაც განსაკუთრებით მაღალია უმუშევრობის დონე, შემოსავლების არქონის გარდა, ჩვენ, ახალგაზრდები, ვერ ვხედავთ საკუთარ როლს საზოგადოებაში არსებული პრობლემების მოგვარების პროცესში. ვერ ვხედავთ ინიციატივების, საკუთარი უფლებების ცოდნის მნიშვნელობას. ეს კი იწვევს განცდას, რომ არაფერი შეგვიძლია და თუნდაც, მცირე შედეგის მიღწევა, საზოგადოებისთვის საკუთარი ხმის მიწვდენა გადაულახავი ზღვარია.

მიგვაჩნია, დროა, დავეხმაროთ ერთმანეთს, ვისწავლოთ თვითგამოხატვა, ხელი შევუწყოთ საზოგადოებრივი საქმიანობისადმი ჩვენი ინტერესის სტიმულირებას, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დონის ამაღლებას; გავაგონოთ ჩვენი ხმა გადაწყვეტილებების მიმღებთ!

ერთად გავაცნობიეროთ, რომ დემოკრატიული არჩევნები, ამომრჩევლის, მოქალაქის აქტიურობა მხოლოდ ერთი დღით არ შემოიფარგლება და იგი ყოველდღიურ არჩევანს გულისხმობს!

სოფლის "ბირჟების" ამარა დარჩენილ ახალგაზრდებს, პროექტი "არჩევანი _ მე!" საშუალებას აძლევს გაეცნონ სამოქალაქო განათლების საფუძვლებს სხვადასხვა მედია პლატფორმაზე, რომლის შექმნაშიც თავად მიიღებენ მონაწილეობას _ თქვენთვის იხსნება ღია სადისკუსიო სივრცე, რათა იმსჯელოთ თქვენთვის ყველაზე მწვავე, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხებზე.

ამიტომ:

✓ მიიღე მონაწილეობა ყოველკვირეულ გადაცემაში "არჩევანი _ მე!"

✓ გამოგვიგზავნე შენი მოსაზრებები, მოგვაწოდე საინტერესო ამბები, ფოტოები და ვიდეოკადრები იმის შესახებ, რაც შენ გარშემო ხდება!

✓ თვალყური ადევნე და მიიღე მონაწილეობა ბლოგერების კონკურსში და მიიღე პრიზი!

✓ ჩვენთან ერთად გაეცანი და მონიტორინგი გაუწიე სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ახალგაზრდულ პროგრამებს!

✓ გაიცანი და შეკითხვები დაუსვი პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომლებმაც, სამომავლოდ ქვეყნის პოლიტიკა უნდა განსაზღვრონ!

ჩვენ დაგეხმარებით გამოიმუშაოთ საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის საჭირო უნარ-ჩვევები, გაიუმჯობესოთ საინფორმაციო ტექნოლოგიებთან მუშაობის ცოდნა, რაც გამოგადგებათ ნებისმიერ სფეროში და პოზიციაზე მუშაობისას.

ამისთვის საჭიროა:

- გვეწვიოთ ჩოხატაურის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, თბილისის ოფისებში (მისამართები შეგიძლიათ იხილოთ გაზეთ "გურია ნიუსის" მეორე გვერდზე);
- დაგვიკავშირდეთ ტელეფონებზე: 599375373; 551373636;
- მოგვწეროთ ელ-ფოსტაზე: guria@gurianews.com.
- მოგვძებნოთ სოციალურ ქსელებში მისამართზე: www.facebook.com/groups/1404171406469267/.

შემოგვიერთდი!

"ინფორმაციის საუკუნეში ვცხოვრობთ, თუმცა, ეს ინფორმაცია სრულად არ მოდის ჩვენამდე"

ნატო გოგელია

"გურია ნიუსის" და "POST ალიონის" ერთობლივი პროექტის ფარგლებში, "თავისუფალი მიკროფონი" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტს სტუმრობდა.

გასართობი ადგილების, სპორტული მოედნის, ბიბლიოთეკის არარსებობა და, თითქმის, დანგრეული სკოლის ინფრასტრუქტურა და ახალი სკოლის მოლოდინი _ ეს იმ პრობლემების მცირე ჩამონათვალია, რომელზეც ახალგაზრდებმა გაამახვილეს ყურადღება.

მათი თქმით, ყველაზე დიდი პრობლემა ავარიული ელექტრობოძებია, რის გამოც სოფელს შუქი ხშირად ეთიშება.

ახალგაზრდების უმრავლესობა ხელისუფლებას საფეხბურთო მოედნის გაკეთებას სთხოვს:

_ ძალიან დიდი სოფელია, რომელიც რაიონულ ცენტრს, თითქმის, 40 კილომეტრით არის დაშორებული. ამ სოფელში ახალგაზრდებს ბევრი პრობლემა აქვს, მაგრამ განსაკუთრებით საფეხბურთო სტადიონის არარსებობა გვაწუხებს. არჩევნების წინ, მუდამ გვპირდებიან გაკეთებას, თუმცა, შემდეგ ავიწყდებათ, _ გვითხრეს ზოტელმა ახალგაზრდებმა.

აღსანიშნავია, რომ ზოტში ე.წ. "ბირჟაზე" მყოფ ახალგაზრდებს იშვიათად ნახავთ _ ისინი უფროსებს საოჯახო საქმეებში ეხმარებიან.

_ თავისუფალი დრო იშვიათად გვაქვს, მაგრამ როცა გვაქვს, ვცდილობთ ერთად შევიკრიბოთ. ვისაუბროთ, ფეხბურთი ვითამაშოთ, _ გვითხრეს ზოტში.

მათივე თქმით, ერთ-ერთი მთავარი გასართობი ინტერნეტიცაა.

ზოტის საჯარო სკოლის მოსწავლეების მთავარი პრობლემა ავარიული შენობაა. მეორე, დამხმარე შენობაში მხოლოდ 5 ოთახია და ამიტომ სასწავლო პროცესი ორ შენობაში მიმდინარეობს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთავარი შენობა იმდენად ავარიულია, რომ ნებისმიერ დროს შეიძლება ჩამოინგრეს. სახელდახელოდ შეფუთული კედლები ვერც სითბოს შენარჩუნებას ახერხებს და ოთახებში, თითქმის ,ყოველთვის ცივა.

_ აქ ყოფნა ზამთარში გაცილებით რთულია. მით უმეტეს, რომ ჩვენთან ზამთარი 5-6 თვეს გრძელდება, _ ამბობს "თავისუფალ მიკროფონთან" ზოტის საჯარო სკოლის მოსწავლეები.

ახალგაზრდები ხელისუფლებას სთხოვენ, რომ გასულ წელს დაწყებული ახალი შენობის მშენებლობა, რომელიც რამდენიმე თვეა კომპანიის არაკეთილსინდისიერი მუშაობის გამო შეჩერებულია, დროულად განაახლონ:

_ მინდა რომ სკოლის მშენებლობა მალე დამთავრდეს, მე-11 კლასში ვარ და პირველი კლასიდან გვპირდებიან, რომ ააშენებენ, თუმცა, ჯერჯერობით, მხოლოდ საძირკველია ჩასხმული, _ ამბობს ჩვენთან საუბრისას მელანო ირემაძე.

იგივე თხოვნა აქვს ხელისუფლებასთან სოფო ბერიძეს.

ზოტელი ახალგაზრდები სოფლის პრობლემების შესახებ ხშირად საუბრობენ _ განსაკუთრებით, საჯარო ტრიბუნასთან. ორი ზოტელი გოგონა ახალგაზრდული საკრებულოს წევრია და როგორც გვეუბნებიან, ცდილობენ, საჯარო აქტივობებში თანატოლებიც ჩართონ.

ზოტელი ახალგაზრდების თქმით, მათთვის განსაკუთრებით საინტერესო საზოგადოებრივი საქმიანობაა, თუმცა, როგორ უნდა ჩაერთონ კონკრეტულ აქტივობებში, ინფორმაცია არა აქვთ:

_ ხანდახან გვიტარებენ ტრენინგებს არასამთავრობო ორგანიზაციები, მაგრამ არა იმ სიხშირით, რაც საჭიროა. ინფორმაციის საუკუნეში ვცხოვრობთო, თუმცა, ეს ინფორმაცია სრულად არ მოდის ჩვენამდე. შეიძლება იმის ბრალია, რომ მაღალმთიან სოფელში ვცხოვრობთ, მაგრამ ვფიქრობ, რომ როგორც ხელისუფლებას, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციებს ჩვენს სოფელში მცხოვრები ახალგაზრდობა და მათი მომავალიც უნდა აინტერესებდეს, _ გვითხრეს ახალგაზრდებმა.

"საარჩევნო უბანი, ჩემთვის არ აღმოჩნდა ადაპტირებული"

გიორგი გირკელიძე
ქანა მეგრელიშვილი

თამუნა შავაძე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისპირში ცხოვრობს. თამუნა ეტლითმოსარგებლეა და სახლიდან ხშირად ვერ გადის. ბოლო არჩევნებში აქტიურად ჩაერთო, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ოჯახის წევრების დახმარებით მივიდა საარჩევნო უბანზე.

"ძალიან მინდოდა, რომ 2012 წელს თვითონ წავსულიყავი საარჩევნო უბანზე და ოჯახთან ერთად მიმეღო მონაწილეობა არჩევნებში. რაც შეეხება 2013-2014 წლის არჩევნებს, ჩემთან მოიტანეს გადასატანი ყუთი. ჩვენს სოფელში გზების პრობლემა არსებობს და, აქედან გამომდინარე, ნაკლებად მაქვს სურვილი გავიდე სახლიდან. ადგილზე მირჩევნია, მოვიდენენ, არც მე ვწვალობ და არც ჩემი ოჯახის წევრები. სურვილის მიხედვით მოხდა ეს ყველაფერი", _ გვითხრა თამუნა შავაძემ.

თამუნა ლურსმანაშვილი ოზურგეთში ერთ-ერთი აქტიური გოგონაა. ის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებს იცავს და ფიქრობს, რომ ყველას აქვს უფლება არჩევნებზე თავისი ხმა დააფიქსიროს.

"რადგან ვამბობთ, რომ ყველას გვაქვს უფლება, ჩვენი ხმა დაფიქსირდეს არჩევნების დღეს, აქედან გამომდინარე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის გარემო უნდა იყოს მისაწვდომი.

ეტლით მიწევს გადაადგილება. 2014 წელს დამოუკიდებლად მინდოდა მიმეცა ხმა. წავედი, მაგრამ საარჩევნო უბანი, რომელიც სკოლის შენობაში იყო განთავსებული, ჩემთვის არ აღმოჩნდა ადაპტირებული. ჩემი მეგობრების დახმარების გარეშე ვერ მივეცი ხმა. 2016 წლის არჩევნებზე ეს საკითხი აუცილებლად უნდა იყოს მოგვარებული", _ გვითხრა თამუნამ.

ოზურგეთის #60 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზვიად თენიეშვილი ამბობს, რომ საარჩევნო პერიოდისთვის არსებობს დაზუსტებული სიები, თუ სადაა საჭირო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის შესაბამისი კაბინის ან პანდუსის გაკეთება.

_ არჩევნების დღეს საარჩევნო ადმინისტრაცია უზრუნველყოფს შესაბამისი ინვენტარით მოხდეს უბნის აღჭურვა. მაგალითად, თვითმმართველობის არჩევნებზე, დაახლოებით, 16 უბანთან დაკავშირებით გვქონდა ინფორმაცია და, შესაბამისად, ადაპტირებული იყო, როგორც საარჩევნო კაბინები, ასევე, უბანში შესასვლელში იყო პანდუსები.

2016 წლისთვის თვითმმართველობის ორგანოები უზრუნველყოფენ ყველა საარჩევნო უბნის ადაპტირებას, რაც კანონითაა გათვალისწინებული, _ თქვა ჩვენთან საუბრის დროს ზვიად თენიეშვილმა.

თამუნა შავაძე და თამუნა ლურსმანაშვილი

სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი 2016 წლისთვის ახალი ანგარიშით წარდგება, რომელიც უფრო მეტად რეკომენდაციების სახით იქნება შემოფარგლული:

"ჩვენ ამ კუთხით სპეციალურ ანგარიშს ვამზადებთ, რომელიც ეხება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საქართველოში არსებულ მდგომარეობას. მაქსიმალურად გვინდა, რომ ის პერიოდი, რომელიც საპარლამენტო არჩევნებამდე არის დარჩენილი გამოყენებული იყოს იმისთვის, რომ ჩვენ შევისწავლოთ მდგომარეობა სისტემურად და შესაბამისი რეკომენდაციებით მივმართოთ ცესკოს. ვიცი, რომ ცესკო დაინტერესებულია არსებული პრობლემის მოგვარებით, მაგრამ გამოწვევები კვლავ რჩება და აქედან გამომდინარე, ჩვენ გადავწყვიტეთ *შეგვესწავლა ეს საკითხი",* _ ამბობს უჩა ნანუაშვილი.

ყველასთვის ხელმისაწვდომ გარემოზე აქტიური კამპანია მიმდინარეობს "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" ოზურგეთის ოფისის ორგანიზებით, რომელშიც ჩართულები არიან ადგილობრივი ხელისუფლების, მედიის, არასამთავრობო ორგანიზაციის და საზოგადოების წევრები.

"მოგახსენებთ, რომ ოზურგეთი მიეკუთვნება იმ ქალაქთა რიგს, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სივრცის მოწყობის თვალსაზრისით, არსებობს რიგი პრობლემები. შეიძლება ითქვას, რომ ქალაქში არ არის შექმნილი ინკლუზიური გარემო და, შესაბამისად, ირღვევა შშმ პირთა უფლებები. ჩვენ, ვაცნობიერებთ ამ პრობლემას და ზოგ ჩვენგანს პირადადაც გვაქვს მასთან შეხება. აღნიშნულ თემაზე გვქონდა არაერთი სამუშაო და საჯარო შეხვედრა საზოგადოების და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან. ადგილობრივი ხელისუფლების, კერძოდ, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლები შეგვპირდნენ, რომ ქალაქის მომავალ ინფრასტრუქტურულ პროექტებში მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული შშმ პირთა ინტერესები და ისინი განახორციელებენ ქმედით ღონისძიებებს, რათა მოახდინონ მათ საკუთრებაში არსებული საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების შეძლებისდაგვარად ადაპტაცია შშმ პირთა საჭიროებებისადმი.

სხვა მრავალ საზოგადოებრივი დანიშნულების შენობასთან ერთად, პანდუსით არ არის აღჭურვილი თქვენი სამინისტროს საკუთრებაში არსებული ოზურგეთის თეატრის შენობა. მართალია, სხვა მოქალაქეთა დახმარებით ეტლით მოსარგებლე თუ სხვა პირებმა, ვისაც კიბეზე გადაადგილების პრობლემა გააჩნია, შესაძლოა, მოახერხონ თეატრის შენობაში შესვლა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ პრობლემა მოგვარებულია, რადგან მსგავსი მიდგომა შშმ პირებს უქმნის განცდას, რომ ისინი არათანაბარ პირობებში იმყოფებიან სხვა მოქალაქეებთან მიმართებაში და ვერ გრძნობენ თავს საზოგადოების სრულყოფილ წევრად", _ ნათქვამია წერილში, რომელიც კულტურის მინისტრის, მიხეილ გიორგაძის სახელზე დაიწერა და ამ დღეებში სამინისტროში გადაიგზავნება.

მსგავსი შინაარსის წერილი, ასევე, გადაეგზავნება საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს დავით სერგეენკოს.

"პანდუსით არ არის აღჭურვილი თქვენი სამინისტროს საკუთრებაში არსებული სოციალური მომსახურების სააგენტოს ოზურგეთის სერვისცენტრი. მართალია, თანამშრომლები თავად ჩამოდიან ქვემოთ და ქუჩაში ემსახურებიან ეტლით მოსარგებლე თუ სხვა პირებს, ვისაც კიბეზე გადაადგილების პრობლემა გააჩნია (მადლობა მათ ამ სამსახურისთვის), მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ პრობლემა მოგვარებულია, რადგან მსგავსი მიდგომა შშმ პირებს უქმნის განცდას, რომ ისინი არათანაბარ პირობებში იმყოფებიან სხვა მოქალაქეებთან მიმართებაში და ვერ გრძნობენ თავს საზოგადოების სრულყოფილ წევრად", _ აღნიშნულია წერილში.

"ბავშვები, რატომღაც, ასოცირდებიან ცრემლსადენ გაზთან"...

გიორგი გირკელიძე

არის თუ არა არასრულწოვნების ჩართულობა პოლიტიკურ აქციებში კანონდარღვევა _ ამ საკითხზე დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში დისკუსია გაიმართა. საჯარო დისკუსია "ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის" მიერ იყო ორგანიზებული და მისი წარმომადგენელი, მზია მეხუზლა პოლიტიკური პარტიების, სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციის, მედიის, საჯარო სკოლის და საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად მსჯელობდა იმ საკითხებზე, რომელიც ამ ბოლო პერიოდში ხდებოდა საქართველოში.

დისკუსიაზე ყურადღება გამახვილდა საკანონმდებლო რეგულაციებზე, საზოგადოების, მშობლების, პასუხისმგებლობაზე ამ საკითხთან დაკავშირებით და ა.შ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატის ლელა ნაცვალაძემ შეხვედრაზე განაცხადა, რომ ბავშვების ადგილი პოლიტიკაში არ არის.

"სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, საქართველოში ყველა პოლიტიკოსია დაწყებული ბავშვიდან, დამთავრებული უფროს ასაკამდე. ძალიან ცუდია ის ფაქტი, რომ ბავშვები მონაწილეობენ ამა თუ იმ პოლიტიკურ აქციებში და ვისურვებდი, ეს ასე არ იყოს არასდროს. პოლიტიკას მხოლოდ პოლიტიკოსები უნდა აკეთებდნენ. ძალიან ცუდად მახსენდება განვლილი წლები და აქ მხოლოდ ბოლო ცხრა წელზე არ არის საუბარი. ხშირად იყენებდნენ ბავშვებს პოლიტიკურ აქციაზე და ეს ყოველთვის მიუღებელი ჩემთვის. არც ერთმა ხელისუფლებამ არ უნდა დაუშვას და ბავშვები ნამდვილად არ უნდა ვიხილოთ აქციებზე. მახსენდება, როგორ მიჰყავდათ ბავშვები ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის დასახვედრად და ამაში ყველა იყო გარეული", _ თქვა ნაცვალაძემ.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ნინო გოგუაძემ აღნიშნა: *"ვფიქრობ, რომ ნებისმიერი ბავშვი პირველი წაკითხული ან ზეპირად მოსმენილი წიგნის შემდეგ იწყებს აღქმას, რა არის მისთვის მისაღები და რა _ მიუღებელი. ძალიან კარგად მახსოვს მეორე კლასში გამოვხატე პროტესტი იმიტომ, რომ ტიციან ტაბიძე იყო ჩემი საყვარელი პოეტი და როდესაც გავიგე კომუნისტებმა დახვრიტეს, პროტესტის ნიშნად, გაკვეთილის მსვლელობის დროს ავდექი. პოლიტიკა არ არის კონკრეტულად პოლიტიკური პარტიების შეჯიბრი, პოლიტიკა არის ჩვენი ყოველდღიურობა. ერთი რამ მინდა ვთქვა, ბავშვის გამოყენება პოლიტიკაში ნამდვილად მიუღებელია".*

"მე 14 წლის ვარ და არ ვარ მზად პოლიტიკურ ამბებში ჩართვისთვის. თუმცა, იმას, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება პოლიტიკის მხრივ, ყოველთვის ვცდილობ, რომ თვალყური ვადევნო, რადგან ამ ქვეყნის მოქალაქე ვარ. განსაკუთრებით მაინტერესებს განათლების სფეროში გახორციელებული და მოსალოდნელი რეფორმები. თუ ისეთი რამ ხდება, ეს ჩემს მომავალს ვნებს, რა თქმა უნდა, ჩემს აზრს ვაფიქსირებ და ამის უფლება ბავშვებს ნამდვილად აქვთ. მაგრამ რომ დაიწყონ შიმშილობა და კარვებში იცხოვრონ, გამოიყენონ მშობლებმა რაღაც მიზნებისთვის, ჯანმრთელობის პრობლემა შეექმნათ, ეს, ჩემი აზრით, არ არის სწორი. ბავშვები რატომღაც ასოცირდებიან "ცრემლსადენ გაზთან, " იმიტომ, რომ, როდესაც მნიშვნელოვანი პრობლემაა და ბავშვები პროტესტს გამოხატავენ, უფრო მეტად მიდის ადამიანის გულამდე სატკივარი. ამით მანიპულირება ვთვლი, რომ ძალიან ცუდია და არ უნდა ხდებოდეს", _ თქვა სალომე ჩავლეშვილმა.

"Post_ალიონის", "გურია ნიუსის" და "21-ს ქვევით" ერთობლივი პროექტი ხორციელდება საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მხარდაჭერით.

ცოტა რამ ბარსელონას შესახებ

გიორგი მდინარაძე

ესპანური საფეხბურთო კლუბი "ბარსელონა" მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და ესპანეთის ყველაზე ტიტულოვანი კლუბია ოფიციალური ჯილდოების მიხედვით. გულშემატკივრები, რომელთა რაოდენობა რამდენიმე მილიონ ადამიანს შეადგენს, მას მოიხსენიებენ, როგორც "ბარსას".

"ბარსელონა" ერთ-ერთი იყო 1928 წელს ესპანეთის ჩემპიონატის დამაარსებელთა შორის და ბილბაოს "ატლეტიკსა" და მადრიდის "რეალთან" ერთად იმ 3 გუნდს წარმოადგენს, რომლებსაც "პრიმერა დივიზიონი" არასოდეს დაუტოვებიათ. "ბარსა" გახდა ესპანეთის პირველი ჩემპიონიც. მის ანგარიშზეა 65 ტიტული: 23-გზის ესპანეთის ჩემპიონობა, 27 ესპანეთის თასი, 11 ესპანეთის სუპერთასი, 4 ევროპის ჩემპიონთა თასი, 4 თასების მფლობელთა თასი, 3 უეფას თასი და 4 უეფა-ს სუპერთასი.

2006-07 წლების სეზონზე "ბარსამ" დაიკავა მესამე ადგილი მსოფლიოს ყველაზე მდიდარ კლუბებს შორის. მისმა შემოსავალმა შეადგინა 291,1 მლნ ევრო.

2007 წლის ივნისის მონაცემებით, "ბარსას" ფანების _ "სოსიოსების" რაოდენობამ 156 366-ს მიაღწია. ისინი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში არსებული 1782 ფანკლუბის ოფიციალური წევრები არიან. "ბარსელონას" გულშემატკივრები ცნობილნი არიან მეტსახელით "ცულéს" (კულე).

2009 წელს "ბარსელონამ" დაამყარა უნიკალური შედეგი, როცა გახდა ერთადერთი ევროპული კლუბი, რომელმაც სეზონის განმავლობაში მოიგო ყველა შესაძლო მსხვილი ტურნირი (სამი ეროვნული _ ესპანეთის ჩემპიონატი, თასი და სუპერთასი და სამი საერთაშორისო _ ჩემპიონთა ლიგა, უეფა-ს სუპერთასი და მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატი).

კლუბს ჰყავს სარეზერვო გუნდი "ბარსელონა B", ასევე, გუნდები სპორტის ოთხ სხვა სახეობაში: კალათბურთში, ხელბურთში, ფუტსალში და გორგოლაჭებიან ჰოკეიში. არსებობს სხვა სამოყვარულო გუნდებიც, მათ შორის რაგბიში, ქალთა ფეხბურთსა და სპორტის ბევრ სხვა სახეობაში.

ისტორია

1899 წლის 22 ოქტომბერს ჟოან გამპერმა სპორტულ გაზეთში განცხადება განათავსა. მას საფეხბურთო კლუბის დაარსება სურდა. განცხადებით რამდენიმე ადამიანი დაინტერესდა და იმავე წლის 29 ნოემბერს "ხიმნასიო სოლეში" პირველი შეკრება გაიმართა. შეხვედრას 11 მოთამაშე ესწრებოდა: გუალტერ უაილდი, ლუის დოსო, ბარტომეუ ტერადასი, ოტო კუნცლი, ოტო მაიერი, ენრიკ დუკალი, პერე კაბოტი, ხოსეპ ლობეტი, ჯონ პარსონსი და უილიამ პარსონსი. შედეგად ჩამოყალიბდა საფეხბურთო კლუბი "ბარსელონა".

"ბარსა" მალე გახდა კატალონიისა და ესპანეთის წამყვანი კლუბი. თავდაპირველად "ბარსელონა" კატალონიის ჩემპიონატსა და სამეფო თასზე გამოდიოდა. 1901 წელს "ბარსელონამ" პირველი ტიტული "კოპა მაკაი" მოიგო, 1902-ში კი სამეფო თასის ფინალში გავიდა, სადაც "ვისკაისთან" დამარცხდა (1:2).

1908 წელს კლუბის ერთ-ერთი თანადამაარსებელი და მისი ყოფილი ფორვარდი ჟოან (ჰანს) გამპერი გახდა კლუბის პირველი პრეზიდენტი. ეს მოხდა მაშინ, როცა კლუბი დაცემის პირას იყო: 1905 წელს კატალონიის ჩემპიონატში გამარჯვების შემდეგ კლუბს 3 წლის განმავლობაში არც ერთი ტიტული არ მოეგო, მისი ფინანსური მდგომარეობა კი სწრაფად უარესდებოდა. საბოლოოდ გამპერი 1908-1925 წლებში 5-ჯერ აირჩიეს პრეზიდენტად და მთლიანობაში 25 წლის მანძილზე უხელმძღვანელა კლუბს. მისი ერთ-ერთი უმთავრესი მიღწევა "ბარსელონასთვის" სტადიონის შეძენა იყო. 1909 წელს გუნდი სტადიონ "კარერ ინდუსტრიაზე" (ჩარრერ Iნდúსტრია) გადაბარგდა, რომელიც 8 000 მაყურებელს იტევდა.

გამპერმა ასევე კლუბის გაფართოება დაიწყო და 1922 წლისთვის მისი წევრების რაოდენობამ 10 000-ს გადააჭარბა.

იმავე წელს "ბარსამ" კვლავ შეიცვალა საშინაო არენა და "Lეს ჩორტს-ზე" გადაბარგდა; ამ სტადიონის თავდაპირველი ტევადობა იყო 22 000 მაყურებელი, მაგრამ შემდეგ ეს რიცხვი 60 000-მდე გაიზარდა.

1912 წელს გამპერმა კლუბში მოიყვანა ფილიპინელ-ესპანელი ფორვარდი პაულინო ალკანტარა, რომელმაც მოგვიანებით ამ გუნდს თავისი კარიერის 13 წელი (1912—1916, 1918—1927) მისცა და რომელმაც ამ დროის განმავლობაში 357 გოლი გაიტანა, რითიც კლუბის ისტორიაში დღემდე საუკეთესო ბომბარდირად რჩება.

1917 წელს გამპერის მოწვევით "ბარსას" მთავარი მწვრთნელი გუნდის ყოფილი მოთამაშე, ინგლისელი ჯეკ გრინველი გახდა, რომელიც გუნდს 1924 წლამდე წვრთნიდა. ამ ზომებმა კლუბში სიტუაცია გააუმჯობესა. საბოლოოდ ჟოან გამპერის ხელმძღვანელობის პერიოდში "ბარსელონამ" 11-ჯერ მოიგო კატალონიის ჩემპიონატი, 6-ჯერ ესპანეთის სამეფო თასი და 4-ჯერ "პირენეის თასი". ეს იყო კლუბის პირველი "ოქროს საუკუნე".

1920-იან წლებში "ბარსელონას" ბევრი არასპორტული, პოლიტიკური პრობლემა შეექმნა.

1925 წლის 14 ივნისს, პრიმო დე რივერას დიქტატორობის პერიოდში, კლუბის სტადიონზე გამართულ ერთ-ერთ მატჩზე მაყურებლები ესპანეთის სამეფო მარშს სტვენით და ყვირილით შეხვდნენ, რის გამოც სტადიონი 6 თვით დაიხურა. შემდეგ ეს სასჯელი 3 თვემდე შემცირდა, მაგრამ საბოლოოდ ამის გამო გამპერმა პრეზიდენტის პოსტი დათმო.კლუბის დამაარსებელი სხვადასხვა ფინანსური და პირადი პრობლემების გამო დეპრესიაში ჩავარდა და 1930 წლის 30 ივლისს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

თუმცა, კლუბში მაინც იყო ბევრი კარგი ფეხბურთელი, ისეთები, როგორებიცაა: ხოსეპ ესკოლა. კლუბმა წარუმატებლობის პერიოდში შეაბიჯა, რადგან ქვეყანაში პოლიტიკურმა კონფლიქტებმა საზოგადოების თვალში სპორტი მეორე პლანზე გადაიტანა. "ბარსაში" კრიზისი დადგა ერთდროულად სამ ფრონტზე: ფინანსურ, სოციალურ (კლუბის წევრების რაოდენობა გამუდმებით მცირდებოდა) და სპორტულ (თუმცა, გუნდი სტაბილურად იგებდა კატალონიის პირველობას (1930, 1931, 1932, 1934, 1936, 1938).

ერთი თვის შემდეგ დაიწყო ესპანეთის სამოქალაქო ომი, რამაც კლუბს ბევრი პრობლემა შეუქმნა. 1936 წლის 6 აგვისტოს ფრანსისკო ფრანკოს არმიის ჯარისკაცებმა დააპატიმრეს და მოკლეს კლუბის პრეზიდენტი ხოსეპ სუნიოლი, სიერა-დე-გვადამარასთან ახლოს.

1937 წლის ზაფხულში კლუბი მექსიკასა და ამერიკაში იყო ტურნეზე, სადაც მათ ესპანეთის მეორე რესპუბლიკის წარმომადგენლებად თვლიდნენ. ამ დროს ესპანეთში გაცხარებულად მიმდინარეობდა სამოქალაქო ომი. ეს მოგზაურობა დაიგეგმა კლუბის

ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მაგრამ ამის სანაცვლოდ მას შედეგად მოჰყვა ის, რომ გუნდის ნახევარი აღარ დაბრუნდა ომით მოცულ ესპანეთში და გადაწყვიტა ახალ სამყაროში ემიგრაციაში დარჩენა.

1938 წლის 16 მარტს ფაშისტების საჰაერო ძალებმა "ბარსას" სოციალური კლუბი დაბომბეს, რასაც სერიოზული ზარალი მოჰყვა. რამდენიმე თვის შემდეგ ქალაქი ბარსელონა ფაშისტების სრულ ოკუპაციაში მოექცა და კლუბი, როგორც "არადისციპლინირებული" კატალონიელი ნაციონალისტების სიმბოლო, ბევრ სერიოზულ პრობლემას შეეჯახა. იმ დროისთვის კლუბის წევრების რაოდენობა შემცირდა 3486 ადამიანამდე.

ესპანეთის სამოქალაქო ომის შემდეგ ფრანკოს მიერ დამყარებულ დიქტატორული პირობებში კატალანური ენა და დროშა აიკრძალა (რაც სეპარატიზმთან ბრძოლასთან იყო დაკავშირებული). ასევე, საფეხბურთო კლუბებს აეკრძალათ არაესპანური სახელწოდებების გამოყენება. საბოლოოდ, 1941 წელს გუნდი იძულებული იყო, სახელწოდება შეეცვალა ძველი "Football club Barcelona-დან" (რომელიც ინგლისურენოვანი სახელწოდება იყო) ახალ, "სწორ" ესპანურ "ჩლუბ დე Fúტბოლ Bარცელონა-ზე"; ამ სახელწოდების ქვეშ კლუბი 33 წლის განმავლობაში არსებობდა. გარდა ამისა, კლუბის გერბიდან კატალონიური დროშაც ამოიღეს. ადგილობრივ მოსახლეობას მხოლოდ სტადიონზე შეეძლო კატალონიურ ენაზე საუბარი.

1943 წელს საშინაო სტადიონ "ლეს კორტსზე" გენერალისიმუსის თასის ("Copa del Generalisimo" _ ასე ეწოდება ახალი ხელისუფლების მიერ მაშინ ესპანეთის თასს, რომელსაც მანამდე მეფის თასი ერქვა) პირველი ნახევარფინალური მატჩი გაიმართა, რომელშიც "ბარსელონამ" მადრიდის "რეალი" ანგარიშით 3:0 დაამარცხა. განმეორებითი თამაშის წინ, ფეხბურთელებს გასახდელში ფრანკოს ხელისუფლების უშიშროების ორგანოს ხელმძღვანელი დახვრეტით დაემუქრა, რის შედეგადაც "რეალმა" ის მატჩი 11:1 მოიგო.

რთული პოლიტიკური სიტუაციის მიუხედავად, "ბარსელონა" მაინც ახერხებდა დიდი წარმატებების მიღწევას 1940-იან და 1950-იან წლებში. 1945 წელს კლუბმა 1929 წლის შემდეგ პირველად მოიგო ესპანეთის ჩემპიონის ტიტული. გამარჯვებული შემადგენლობის მწვრთნელი მაშინ იყო ხოსეპ სამიტიერი. გუნდში იმ დროისთვის თამაშობდნენ ისეთი ოსტატები, როგორებიც არიან: სესარ როდრიგესი, ანტონიო რამალეტსო და ხუან ველასკო.

1948-49 წლებში გუნდმა კიდევ 2 ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. 1949 წელს "ბარსელონამ" პირველად მოიგო "Copa Latina".

50-იან წლებში კლუბის ყველაზე წარმატებული ხანა დადგა. მწვრთნელის _ ფერნანდო დაუჩიკისა და "ბარსას" ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელის _ ლადისლაო კუბალას დახმარებით გუნდმა 1952 წელს 5 სხვადასხვა ტიტული მოიგო.

1961 წელს "ბარსელონა" გახდა ისტორიაში პირველი კლუბი, რომელმაც ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებიდან მადრიდის "რეალი" გამოაძევა, რითიც ბოლო მოუღო მადრიდელების ექვსწლიან მონოპოლიას ამ ტიტულზე. ჩემპიონთა თასის ფინალი ბერნში გაიმართა, სადაც ესპანელებმა პორტუგალიურ "ბენფიკასთან" დათმეს ანგარიშით 2:3.

1978 წელს "ბარსას" პრეზიდენტად ხოსეპ ლუის ნუნიესი აირჩიეს. ამ პოსტზე მისი მთავარი მიზანი "ბარსელონას" მსოფლიო დონის კლუბად გადაქცევა და ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა იყო.

1982 წლის ივნისში გუნდი გააძლიერა დიეგო მარადონამ, რომელიც აქ არგენტინულ გუნდ "ბოკა ხუნიორსიდან" გადმოვიდა იმ დროისთვის სარეკორდო თანხად _ 3 მლნ ფუნტ სტერლინგად. თუმცა, ახალგაზრდა დიეგოს კარიერა "ბარსელონაში" ვერ აეწყო.

1988 წელს გუნდში იოჰან კრუიფი უკვე მწვრთნელის როლში დაბრუნდა. გუნდის შემადგენლობამ, რომელსაც იგი სათავეში ჩაუდგა, ოდნავ მოგვიანებით, 1990-იან წლებში, მიიღო ზედმეტსახელი "ოცნების გუნდი" ("Dream Team", იმ წლების აშშ-ის კალათბურთის ნაკრების ანალოგიურად, რომელმაც გაიმარჯვა 1992 წლის ზაფხულის ოლიმპიადაზე, რომელიც სწორედ ქალაქ ბარსელონაში გაიმართა).

იმ პერიოდის "ბარსელონაში" მოვიდა შესანიშნავი მოთამაშეების პლეადა: ამორი, ჟოზეპ გვარდიოლა, ხოსე მარი ბაკერო, ჩიკი ბეგირისტაინი, ნადალი, ეუსებიო, ანდონი გოეკოეჩეა, გეორგე ჰაჯი, მიკაელ ლაუდრუპი,რონალდ კუმანი, ხრისტო სტოიჩკოვი და რომარიო.

1991-1994 წლებში "ბარსამ" ზედიზედ ოთხჯერ მოიგო ესპანეთის ჩემპიონატი. ევროპის არენაზე გუნდმა მოიგო 1988-1989 წლების თასების მფლობელთა თასი (ფინალში დაამარცხა "სამპდორია" ანგარიშით 1:0) და 1991-92 წლების ჩემპიონთა თასი (დრამატულ მატჩში უემბლიზე "ბარსამ" იმავე "სამპდორიის" დამარცხება მოახერხა, გადამწყვეტი გოლი საჯარიმო დარტყმიდან თამაშის 111-ე წუთზე გაიტანა რონალდ კუმანმა). გარდა ამისა, საკლუბო ჯილდოების კოლექცია შეივსო ესპანეთის თასით (1990), უეფა-ს სუპერთასით (1992) და სამი ესპანეთის სუპერთასით. 1992 წელს ტოკიოში გუნდი საკონტინენტთაშორისო თასზე ფინალში დამარცხდა "სან-პაულუსთან" ანგარიშით 1:2.

თუმცა, მალევე გამარჯვებების სერია დასასრულს მიუახლოვდა. 1993-94 წლების ჩემპიონთა ლიგის ფინალში ათენში "ბარსა" გაანადგურა "მილანმა" ანგარიშით 0:4. ეს გახდა პირველი სერიოზული მარცხი უკანასკნელი წლების განმავლობაში. 1996 წელს, ორი არცთუ ისე წარმატებული სეზონის შემდეგ (1994-95, 1995-96), კრუიფმა დატოვა მწვრთნელის პოსტი. ამ პოსტზე კრუიფმა დაამყარა კლუბის ორი სამწვრთნელო რეკორდი: მან ყველაზე მეტ ხანს _ 8 წლის მანძილზე უხელმძღვანელა "ბარსას" და მოიგო 11 ტიტული. კრუიფის წასვლა ითვლება "ოცნების გუნდის" დასასრულად, იმ ლეგენდარული შემადგენლობის ფეხბურთელების უმეტესობა 1997 წლის დასაწყისში გუნდიდან წავიდა.

კრუიფის წასვლის შემდეგ მისი ადგილი დაიკავა ინგლისელმა ბობი რობსონმა, რომელმაც ამ პოსტზე მხოლოდ ერთი სეზონი დაჰყო (1996-97), თუმცა საკმაოდ წარმატებული: გუნდმა გააკეთა თასების ჰეთ-თრიკი (ესპანეთის თასი, ესპანეთის სუპერთასი და თასების მფლობელთა თასი).

გარდა ამისა, "ბარსაში" ყოფნის პერიოდში რობსონმა მოასწრო ჰოლანდიური "პსვ-ის" მომავალი სუპერვარსკვლავის, რონალდოს შეძენა და მომავალში ფრთიან გამონათქვამად ქცეული ფრაზის წარმოთქმა: "კატალონია — ქვეყანაა, ხოლო საფეხბურთო კლუბი "ბარსელონა" _ მისი ჯარი". თუმცა რონალდომ კლუბში მხოლოდ ერთი სეზონის განმავლობაში ითამაშა და შემდეგ მილანის "ინტერში" გადავიდა. რობსონი მწვრთნელის პოსტზე შეცვალა ჰოლანდიელმა ლუის ვან გაალმა. ამ დროისთვის გუნდი გააძლიერეს ლუიშ ფიგუმ, ჯოვანი დე ოლივეირამ, ლუის ენრიკე მარტინესმა, პატრიკ კლუივერტმა და რივალდომ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

რეკლამის ფასები: პირველი გვერდი – 700 ლარი; ბოლო ფერადი გვერდი – 350 ლარი; მეორე გვერდი – 200 ლარი; მესამე გვერდი – 300 ლარი.
პოლიტიკური რეკლამის ფასი ორმაგია.
რეკლამის შეკვეთის მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონზე: (555) 714-011.
გურიის ახალგაზრდული გაზეთის მისამართია: ჩოხატაური, ნოდარ დუმბაძის ქუჩა №25.
373 636 (551) ☎ * ლანჩხუთი, ნოე ჟორდანიას ქ. №128, I სართ. 903- 987 (571) ☎
*ოზურგეთი, ილია ჭავჭავაძის ქუჩა №4, 404-182(599) ☎
E-mail: nato.gogelia@facebook.com
რედაქტორი: ნატო გოგელია